ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №31 (1661) | 1–4 მაისი, 1998წ. | ● ფასი 50 თეთრი

## „სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ აპოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია"







მეორე გვერდი

## პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე



მეოთხე გვერდი



## ქრთამი მებაჟეების მოგონილიაო...

მეხუთე გვერდი

### ხმა ხალხიდან

## ნუ უკრავთ „ფლაყვე" ტაშს



მეხუთე გვერდი

### ბრავო! ბრავო! ბრავო!



მეცხრე გვერდი



## საოპერო მუსიკის დიდი ფესტივალი თბილისში

## კრიმინალური ქრონიკა



მესამე გვერდი

### პოლიტიკა და პირველი ლედი

## იორდანიის დედოფალი ნური



მეათე გვერდი

# „სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ აპოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია“

**ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან ჟორდანია უცხო ენების ინსტიტუტს ჩამოაშორეს. მასთან საუბარი საინტერესო აღმოჩნდა.**

**— ბატონო სულხან! მახსოვს თქვენი უმძაფრესი წერილები უცხო ენათა ინსტიტუტის მუშაობასა და მის კონტინგენტზე. თქვენს წერილებს ინსტიტუტის თანამშრომელთა პატარა განმარტებასავით წერილი მოჰყვა, სადაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ინსტიტუტის თქვენეულ შეფასებას. ბოლოსდაბოლოს, რა აზრის ბრძანდებით დღეს თქვენს ინსტიტუტზე, მართლა რუტინაა იქ გამეფებული თუ თქვენ ცდებოდით?**

— ქალბატონო ლელა, ნებას თუ დამრთავთ, ოდნავ დავაზუსტებ თქვენს კითხვას. ჩემს წერილებს ინსტიტუტის მუშაობის თაობაზე „ინსტიტუტის თანამშრომელთა“ პატარა განმარტებასთან ერთად საკმაოდ დიდი სტატიაც მოყვა. სტატია, ალბათ ამაში დამეთანხმებით, მთელი კოლექტივის ერთობლივი გარჯის ნაყოფი ვერ იქნებოდა. იგი დაიწერა რექტორატის უმჭევრმეტყველესი ტრიბუნის მიერ. სტატიამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა: მისმა ავტორმა ენაბრგვილობის ისეთი დონე წარმოაჩინა, საპასუხო წერილში კატეგორიულად მოვითხოვე, საჯაროდ მოეხადა ბოდიში ქართული ენის შეურაცხყოფისათვის. არ მოიხადა, მაგრამ პასკვილების წერის იშტა, თუ არ ვცდები, სამუდამოდ გაუქრა.

რექტორის, განათლების მინისტრის მიერ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული იდეა კომუნისტური დემაგოგიის ტიპიურ მაგალითად გამოდგება. მათი მტკიცებით, პროფესორი სულხან ჟორდანია ცილს სწამებს უცხო ენათა ინსტიტუტს. ინსტიტუტში თითო-ოროლა სტუდენტის ცოდნა შეიძლება არ იყოს დამაკმაყოფილებელი — მაგრამ სწავლა-განათლების საერთო დონე ძალიან მაღალია. ამიტომ ინსტიტუტი გმობს პროფესორ სულხან ჟორდანიას უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ინსტიტუტის მიმართ და თუ პროფესორი სულხან ჟორდანია თავისას არ მოიშლის და განაგრძობს წერილების გამოქვეყნებას, ინსტიტუტი შესაფერის ზომებს მიიღებს მის წინააღმდეგო. აკი მიიღო კიდეც! ერთი თვის განმავლობაში კვირაში ოთხჯერ თუ არა, სამჯერ მაინც მიხვრიტა მანქანის საბურავები. მას შემდეგ ვაკის პარკის შემოგარენია ჩვენი თავშესაფარი.

ქალბატონო ლელა, თქვენ მეკითხებით დღესდღეობით მართლა რუტინაა ინსტიტუტში გამეფებული თუ ვცდებოდი, ამას რომ ვამტკიცებდი. კონსერვატულობა, დაწესებული შაბლონის მონური მორჩილება, დრომოჭმული წესებისა და ჩვეულებათა წინაშე ქედის მოხრა ინსტიტუტში მაშინ იყო გამეფებული, როცა პირველი კრიტიკული წერილები გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. თუკი ორი წლის წინ ინსტიტუტი აუდიტორიების ქრონიკულ ნაკლებობას უჩიოდა, დღეს იგივე ინსტიტუტის იგივე კედლები და ეზო-ყურე კოლეჯსაც იტევს, მოსამზადებელ კურსებსაც, უფასო, ე. ი. საბიუჯეტო ადგილებზე დამატებით მიღებულ ასამდე სტუდენტსაც და, ნუ გაგიკვირდებათ, ავტოსერვისსაც. დიახ, ტევა არაა პირველკურსელების, მეხუთეკურსელები არ ჩანან მხოლოდ. ვკითხე მეხუთეკურსელებს: რამ გაგიქროთ ასე სწავლისადმი ინტერესი, რაშია საქმე? სწავლების ხარისხის მკვეთრმა გაუარესებამ, განუკითხაობამ, უპერსპექტივობამ», მიპასუხეს.

დღეს ინსტიტუტის კოლექტივი მოსიძემ შეცვალა. მოსიძის სამი წლის რექტორობამ სტუდენტებს სწავლის სურვილი ჩაუკლა, მასწავლებლებს-მასწავლებლობისა, ზოგი, მეტწილად პროფესორები, ინსტიტუტიდან განიდევნენ, ზოგი თავისი ნებით წავიდა, ზოგი — საუკეთესო, საუბედუროდ, — ნახევარ შტატზე გადავიდა. არის ალმაშფოთებელი თვითმმართველობა, ერთი უმეცარი კაცისა და მისი მცირერიცხოვანი ამალის განუსაზღვრელი ბატონობა ხალხზე, პროფესორ-მასწავლებლებზე, შემოქმედებით სულზე.




**— თქვენს ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა ხომ არ ჰგავს საქართველოსას? ამით კი იმის კითხვა მსურს, — როგორ შეაფასებთ საქართველოს დღევანდელ ვითარებას?**

— ისე ჰგავს, როგორც ორი წვეთი წყალი — ერთიმეორეს. გასულ ზაფხულს გერმანიაში ვიყავი, თოთხმეტი წლის პატარა „მერსედესი“ ვიყიდე და თბილისში დავბრუნდი. გამგზავრების წინ აეროპორტში დაუვიწყარ სანახაობას შევესწარი. თვითმფრინავში ჩასხდომამდე ნახევარი საათით ადრე მოსაცდელ დარბაზში საზარელი ბლავილი გაისმა. ოცდაათს მიტანებული ლი შავ შარვალსა და ქათქათა თეთრ პერანგში გამოწყობილი გამხდარი, მაღალმაღალი შავგვრემანი კაცი აფხაზეთიდან ლტოლვილის რუსულით ეჭვლადებოდა ჩინოვნიკებს თვითმფრინავზე აეშვათ; ორი წლის შვილი მომიკვდაო, ყვიროდა, რომ არ ჩავიდე, თავს მოვიკლავო. შემაძრწუნებელი სცენა კარგა ხანს გაგრძელდა. კაცი რამდენჯერმე დაეცა მუხლებზე და ლურჯ-კოსტუმოქროსთმიან ქალბატონს, თუ არ ვცდები, ცვლის უფროსს, დაუკოცნა ხელებზე კოცნა. არაფერმა გაჭრა; ქალი მტკიცე უარზე იყო, ადმინისტრაციული ალტაცებით, მტკიცედ, ცივად თავისაზე იდგა — Пусть сперва тех двоих снимут с самолета, а потом посмотрим-о, ამბობდა. თვითმფრინავში რომ ჩავჯექი, ეს სურათი ძალაუნებურად სხვა დეტალებს დავუკავშირე. მომეჩვენა, რომ

გაგრძელება მე-3 გვ.

# რადიოსადგური «თავისუფლება» იუწყება...

## პრეზიდენტს სამიტზე თავდაცვის ახალი მინისტრი ახლდა

როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ მოსკოვში მისი უსაფრთხოება თანმხლებ პირებთან ერთად გარანტირებულია და




28 აპრილს დღის მეორე ნახევარში იგი მოსკოვში გაემგზავრა სნგ-ს წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტთა შეხვედრაში მონაწილეობისათვის. ედუარდ შევარდნაძის თანმხლები დელეგაციის შემადგენლობამ სერიოზული ცვლილება განიცადა. საქართველოს პრეზიდენტს მოსკოვში ახლავს საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, რომლის კანდიდატურასაც 28 აპრილის პარლამენტის სხდომაზე 161 პარლამენტარმა დაუჭირა მხარი. საქართველოს პარლამენტში თავდაცვის მინისტრის პოსტზე დავით თევზაძის კანდიდატურის განხილვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ერთი პირის მეორეთი შეცვლით. პარლამენტარების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ღიად განაცხადა, რომ ვარდიკო ნადიბაიძის გადაყენება და თავდაცვის მინისტრად დავით თევზაძის დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან პრორუსული კურსის საბოლოოდ უარყოფისა და დასავლეთის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აღიქმება. მართლაც, საქართველოს ყოფილი და ახლანდელი თავდაცვის მინისტრები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ აზროვნების წესითა და ცნობიერებით, არამედ შრომითი ბიოგრაფიითაც საოცრად განსხვავდებიან. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ვარდიკო ნადიბაიძემ ისე მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის წოდებას, რომ არც ერთ საბრძოლო ოპერაციაში არ მიუღია მონაწილეობა. მისი კარიერა, როგორც გახსოვთ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შემადგენლობის მომარაგებას უკავშირდებოდა. დავით თევზაძემ პოლკოვნიკობა საომარ მოქმედებებში მონაწილეობით დაიმსახურა. ერთსულოვანი აღიარებით აფხაზეთის ომში მეთერთმეტე ბატალიონი, რომელსაც დავით თევზაძე მეთაურობდა, დისციპლინითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. 49 წლის დავით თევზაძე სოხუმშია დაბადებული. საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი განათლებით ფილოსოფოსია, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი მათემატიკური ლოგიკის სპეციალობით. არის ევროპულ იდეათა კვლევის საერთაშორისო საზოგადოებისა და ნიუ-იორკის აკადემიის წევრი. სამხედრო განათლება: 1994 წელი — რომის ნატოს თავდაცვის კოლეჯი. 1995 წელი — გერმანიაში ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების პრობლემათა კვლევის ევროპული ცენტრის კურსები, სტრატეგიულ კვლევათა და თავდაცვის ეკონომიკის კოლეჯი. 1996-97 წლები — ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამეთაურო და გენშტაბის კოლეჯი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სამხედრო სასწავლებლად ითვლება. თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, ამ კოლეჯში არსებული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკური ფორმულირების ცენტრში კურსი მხოლოდ ამერიკელებს ეკითხებათ. დავით თევზაძისათვის კი გამონაკლისი დაუშვეს. 28 აპრილამდე დავით თევზაძე საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის თავმჯდომარე გახლდათ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ჰყავს მეუღლე და ექვსი შვილი.

## კასპიის ზღვის ნავთობის მარაგი არც ისე დიდია

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ კასპიის ნავთობის ექსპლუატაციისა და მისი ტრანსპორტირების საკითხი საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან კასპიის შელფური ნავთობსაბადოების ექსპლუატაციას საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სამომავლო იმედები უკავშირდება. მაგრამ როგორც ლონდონის სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა ცხადყოფს, კასპიის ნავთობსაბადოთა რეალური მარაგი გაცილებით ჩამოუვარდება აქამდე გამოქვეყნებულ ყველა მონაცემს. გამოკვლევის ტექსტი გამოქვეყნებულია ხსენებული ინსტიტუტის ყოველთვიურ გამოცემაში „სტრატეგიული მიმოხილვა“. გამოკვლევის ავტორები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტის მიერ ამ რამდენიმე წლის წინ გაკეთებულ შეფასებას, რომლის მიხედვით კასპიის ზღვის ნავთობრესურსები დაახლოებით 200 მილიარდ ბარელს შეადგენს და მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამოუვარდება საუდის არაბეთის მარაგს. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ შეფასებამ განაპირობა კასპიის ზღვის რეგიონისადმი დასავლეთის ეკონომიკური პოლიტიკური ინტერესის მკვეთრი ზრდა, მაგრამ სტრატეგიულ მიმოხილვაში გამოქვეყნებული გამოკვლევის თანახმად, კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობის მარაგი მხოლოდ 25-35 მილიარდამდე ბარელს შეადგენს.

## ქართველმა პარტიზანებმა 50-მდე ქართველი გაანთავისუფლეს

გალის რაიონის სოფელ თაგილონთან აფხაზმა მილიციელებმა ტყვედ აიყვანეს 50-მდე ადგილობრივი მოსახლე. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ისინი განთავისუფლებულნი არიან ქართველ პარტიზანთა ძალისხმევით. საქართველოს ტელევიზია სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ შეტაკებაში დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი აფხაზი მილიციელი.

## „საქართველოს ღვთაებრივი ჩამოსხმის ღვინოები“

უკანასკნელ ხანებში დასავლეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და მათ შორის ეკონომიკასაც, რომლის ძირითადი დარგი ტრადიციულად იყო მევენახეობა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 28 აპრილის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „საქართველოს ღვთაებრივი ჩამოსხმის ღვინოები“. ავტორი სტივენ კინზერი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოსა და ქართული მევინეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და შემდეგ სოფელ მანავიდან გამოგზავნილ რეპორტაჟში საუბრობს უკანასკნელ ხანს წამოწყებულ ბიზნესზე, რომელშიც უცხოური კომპანიებიც მონაწილეობენ. ავტორი მოგვითხრობს ღვინის როლზე ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი აღნიშნავს, რომ ქართველებისათვის ღვინო არამარტო ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის საწინდარია, არამედ სოციალური ურთიერთობების აუცილებელი კომპონენტიც. იგი ასევე საუბრობს ქართული სუფრის ტრადიციებზე, თამადის ინსტიტუტზე, სადღეგრძელოების წარმოთქმის წესზე.

## აფხაზური დელეგაცია აჭარაში

ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა ყოველთვის კეთილი იყო და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით აჭარისა და აფხაზეთის ლიდერებს, ასლან აბაშიძესა და ვლადისლავ არძინბას — განაცხადა 28 აპრილს ბათუმის აეროპორტში აფხაზთა სამთავრობო დელეგაციის ჩასვლისას თვითმარქვია




აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სერგეი ბაღაფშმა. დელეგაციას დახვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ავთანდილ გორგილაძე. სერგეი ბაღაფშმა აღნიშნა, რომ ეს არის აფხაზეთის სამთავრობო დელეგაციის საპასუხო ვიზიტი. აჭარის დელეგაცია უკვე იმყოფებოდა სოხუმში. როგორც მან თქვა, ამ ვიზიტისაგან რაიმე გრანდიოზულს არ უნდა ველოდოთ. ჩვენ პოლიტიკურ საკითხებს არ შევეხებით — აღნიშნა ბაღაფშმა.

# ახალი ამბები

## გაეროს წარმომადგენლებმა აქცია გამართეს

საქართველოში მოქმედი გაეროს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საბურთალოზე მდებარე ოფისიდან იპოდრომამდე მდუმარე აქცია მოაწყვეს, რაც დაკავშირებული იყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ჩრდილო ოსეთის ოფისის უფროსის, ვინსენტ კოშეტელის გატაცებიდან 90-ე დღესთან.

კოშეტელის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. დღევანდელი აქციის მიზანი კი საერთაშორისო საზოგადოებისა და მთავრობების მხრიდან მოქალაქეთა სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ყურადღების გამახვილება იყო. მდუმარე აქციის მონაწილეებს ხელში ყვითელი ყვავილები ეჭირათ, რაც ტყვეობაში მყოფთა და მათი ოჯახებისადმი თანადგომის სიმბოლოს წარმოადგენს.

## საქართველოს თუ დანაწევრება აკლია...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ინფორმაციით, რუსეთში შემუშავებულია საქართველოს ნაწილებად დაყოფის გეგმა, რომელიც საიდუმლოს „უკვე



აღარავისთვის წარმოადგენს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, გეგმის თანახმად, თავდაპირველად საქართველოსთვის ყველაზე „მსუყე“ ნაწილების: აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოს და ახალციხის ჩამოშორებაა გათვალისწინებული. სარიშვილი-ჭანტურია დარწმუნებულია და იმედოვნებს, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელებაში რუსეთს მხოლოდ აფხაზი სეპარატისტები უწყობენ ხელს.

## ბორის ბერეზოვსკიც ნავთობსადენით არის დაინტერესებული

ბორის ბერეზოვსკის დსთ-ის აღმასრულებელ მდივნად დანიშვნას ედპ-ის თავმჯდომარე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია მეტად სერიოზულ ფაქტად მიიჩნევს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ეს დსთ-ს ვერ გადაარჩენს, მაგრამ თავად ბერეზოვსკისთვის ამ თანამდებობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება ბორის ბერეზოვსკის კანდიდატურის ედუარდ შევარდნაძისა და ლეონიდ კუჩმას მიერ წარდგენას, სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ ეს ფაქტი ნავთობსადენის საკითხზე ამ სამი პიროვნების ერთნაირი შეხედულებით აიხსნება. „ჯერ კიდევ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე ყოფნისას ბერეზოვსკი საქართველოში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საბაბით ჩამოდიოდა, რეალური მიზეზი კი ნავთობსადენით დაინტერესება იყო“ - მიაჩნია ედპ-ის ლიდერს.

გეა

# ალბათ, მოლაპარაკებები აფხაზეთსა და საქართველოს შორის აჭარაში გაგრძელდება

დსთ-ს ქვეყნების მეთაურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აფხაზებისათვის რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს სიახლეს არავისათვის წარმოადგენს. მსგავსი განცხადების მსმენელნი კვლავ აღმოვჩნდით




პრესკონფერენციაზე, რომელიც 28 აპრილს ბათუმში გაიმართა.

— დსთ-ს არცერთ გადაწყვეტილებას არ შევასრულებთ, თუ აფხაზეთის მხარის მონაწილეობის გარეშე იქნება მიღებული. — ბათუმში ყოფნისას განაცხადა აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფებოდა ვიზიტით. თანაც თავის მხრივ მიზეზიც საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა — სამშვიდობო ძალების შემოყვანა ორივე მხარის (როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს) თანხმობით მოხდა. ხოლო, როცა მათი გაყვანის საკითხი და მანდატის შესახებ არის ლაპარაკი, ეს ცალმხრივად (აფხაზეთის გარეშე) წყდება.

ბათუმში ვიზიტით ნასიამოვნებმა სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს მსგავსი შეხვედრების გაგრძელება-გაღრმავებისა. რადგან ეს რთული საქმე შეხვედრებით იწყება, ყოველთვის ორმხრივ მაგიდასთან და მოლაპარაკებებით მთავრდება ხოლმე.

— ყველა პრობლემის გადაჭრის გზას მოლაპარაკებაში ვხედავ. — განაცხადა აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის აზრით, ალბათ მოლაპარაკებები აფხაზეთსა და საქართველოს შორის აჭარაში გაგრძელდება.

**მანანა ლოგჯანიძე**
**ნანა ზურაბიშვილი**
**სპეციალურად გაზეთ „საქართველოსთვის"**
**ბათუმი**

## პანტელეიმონ გიორგაძე გმობს ბლოკადას

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ დადებითად შეაფასა აჭარაში სერგეი ბაღაფშის მეთაურობით აფხაზეთის დელ-



ეგაციის ვიზიტი. „სწორია, რომ აჭარასა და აფხაზეთს შორის სასოფლო-სამეურნეო კავშირები მყარდება" - განაცხადა გიორგაძემ.

„აფხაზეთში მყოფი ხალხი - ქართველები, აფხაზები, რუსები ბლოკადის გამო შიმშილობენ, აჭარასთან კავშირების დამყარებამ იქნებ რამენაირად მაინც შეამსუბუქოს მათი მდგომარეობა" - განაცხადა პანტელეიმონ გიორგაძემ. მისი თქმით, „აჭარაში აფხაზეთის დელეგაციის ჩასვლაში ცუდი არაფერია, ისინი ხომ იარაღისა და ტყვიაწამლისთვის არ ჩასულან".

პანტელეიმონ გიორგაძე იმის მომხრეა, რომ აფხაზეთმა კავშირი დაამყაროს უკრაინასთან, ბელორუსთან და დსთ-ის სხვა ქვეყნებთან. „აფხაზების ვიზიტს აჭარაში არ უნდა უყურებდნენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ მიმართულს - უნდა გაითვალისწინონ, ყოველ შემთხვევაში, რომ ადამიანებს აფხაზეთში პირველ რიგში შიათ".

გიორგაძე თვლის, რომ უკიდურეს მდგომარეობამდე აფხაზეთში მყოფი ხალხი საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიყვანა, რომელმაც აფხაზეთი ბლოკადაში მოაქცია და ამ სახით თავის ხალხს გენოციდი მოუწყო.

## „ლეიბორისტი" კანონპროექტს მხარს არ უჭერს

საპარლამენტო ფრაქცია „ლეიბორისტის" თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის თქმით, ქვეყანაში არ არსებობს სოციალურად ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა, რისი ნათელი დადასტურებაა პარლამენტში განსახილველად შემოტანილი კანონპროექტი „საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". კერძოდ, ცვლილება, რომელიც ბენზინზე აქციზის მომატებას ითვალისწინებს.

„საწვავი XX საუკუნის სტრატეგიული პროდუქციაა



და მისი გაძვირება ავტომატურად ყველაფრის გაძვირებას იწვევს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ფრაქცია კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს" - აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა. მისთვის აქციზის მომატების ის არგუმენტაცია, რომ საწვავის ფასი დაუახლოვდეს მსოფლიო სტანდარტებს, მიუღებელია. როგორც საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე მიიჩნევს, მსოფლიო სტანდარტებს ჯერ ცხოვრების დონე, ხელფასები და პენსიები უნდა დაუახლოვდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ბენზინის გაძვირება.

# „სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ აპოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია“

მეორე გვერდიდან

ყველაფერი ერთიმეორისგან გამომდინარეობდა, ყველაფერს ერთი თავდაპირველი, იმანენტური, შინაგანი მიზეზი ამოძრავებდა.

მამაკაცთა საპირფარეშოში — რესპუბლიკის ერთადერთი თუ არა, მთავარი საერთაშორისო აეროპორტის მამაკაცთა საპირფარეშოში — ოთხი განყოფილებიდან მხოლოდ ერთის კარი იღებოდა, მაგრამ ამ ერთში არც ტუალეტის ქაღალდი იყო, არც უნიტაზი იყო გამართული. მოსაცდელი დარბაზის წინ კი, იქ, სადაც ჯიხურში საბუთებს და ბილეთებს ამოწმებენ, ვილაცეები ფაციფუცობდნენ, რიგს არად მიგიჩნევდნენ, მორიგე პერსონალს ეჩურჩულებოდნენ. ჩემ წინ ერთი-ორი ინგლისელი და გერმანელი იდგა. შევწუხდი, ველარ მოვითმინე და დავდექი რიგში, ამათი მაინც შეგრცხვესმეთქი, შევუტიე თავხედს; შენს კანში დაეტიე, აქ წესრიგს მე ვიცავო, მომიგო, კოსტუმის შიდა ჯიბიდან დიდი საბუთი დააძრო და თვალებზე ამაფარა. ამის შემდეგ ვილაც ენერგიულ კაცს ვკიდე თვალი. ამ კაცმა ჯიხურთან მდგომი აეროპორტის მოსამსახურე გვერდზე გაიხმო და იქვე, უცხოელების თანდასწრებით დაუწყო რაღაცის თხოვნა-მტკიცება. დიალოგი ანაზდად შეწყდა. აეროპორტის თანამშრომელმა უარის ნიშნად ერთი-ორჯერ თუ მოასწრო თავის გაქნევა, რომ ენერგიული კაცი ადგილს მოწყდა და მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით დაეშვა კიბეზე. იქ ერთხელ რაღაც უცნაურად შეიკუნტრუშა, კიტელ ქვეშ, დუმაზე ამობურცულ იარაღს ხელი შეავლო და შეაგინა მოყვასი.

აეროპორტიდან, სადგურიდან, საზოგადო საპირფარეშოდან, ხელშესახები წვრილმანიდან იწყება და მთავრდება საქართველო უცხოელის წარმოდგენაში, აქ ლებულობს იგი პირველსა და უკანასკნელ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს, ქალბატონო ლელა! რა შთაბეჭდილება დარჩება მას ჩვენი სადარბაზო ბარათის, ჩვენი აეროპორტის შემხედვარეს? მიახლოებით ისეთი, როგორი შთაბეჭდილებაც მე მაქვს დღესდღეობით ჩემს სამშობლოზე.

ფრანკფურტიდან თბილისამდე ხუთი ათასი კილომეტრი გამოვიარე, იმის მეათედი საშოვარზე გამოსული პოლიციელი არ შემხვედრია, სარფის საბაჟოდან ნუცუბიძის პლატომდე რომ შემხვდა. ბათუმში, თითქოს პოლონეთიდან უკრაინაზე გავდიოდი, სატრანზიტო ნომრების ფული გამომძალეს. გურიაში მითხრეს, ფრთხილად იარე, გუშინ




ფირალებმა საბერძნეთის ტურისტული ავტობუსი დაცარცვეს, ახალგაზრდა ქალი სიცოცხლეს გამოასალმესო. ასეთი რამ ქურდ-ბაცაცი ციგნებით გატენილ რუმინეთშიც არ გამიგია! მეორე დღეს ინსტიტუტში რომ მივედი, ხეიბარმა დარაჯმა მითხრა, რექტორის ბრძანებით ინსტიტუტში შესვლა აკრძალული გაქვსო. სამი თვე ინსტიტუტში არ მიშვებდა, პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა თვალწინ მამცირებდა და ბოლოს სისხლის სამართლის საქმე აღძრა ჩემ წინააღმდეგ კაცმა, რომლის ხელში წიგნი არასოდეს მინახავს!

**— ბატონო სულხან! მახსოვხართ გერმანიის საელჩოს წინ ინგლისური წარწერით მდგარი. რას მოითხოვდით, მიაღწიეთ?**

— დიახ, მივაღწიე. მოვითხოვდი იმ ბინის კომპენსაციას, რომელშიც წლების მანძილზე დედაჩემი ცხოვრობდა და რომელშიც გერმანიის საელჩომ თბილისის მერიას დიდძალი ვალუტა გადაუხადა. როცა იჯარის საბუთები დგებოდა, ავადმყოფი დედა ჩემთან მყავდა ნუცუბიძის პლატოზე. მერიის მოხელეებმა ისე გააფორმეს ყველაფერი, ჩვენ არაფერი შეგვატყობინეს. საქმის ვითარება რომ გავიგე, მერიას ბინის კომპენსაცია მოვთხოვე. მითხრეს, თქვენ იმის საბუთი არა გაქვთ, თქვენი ბინა რომ გერმანიის საელჩომ აიღო იჯარით და კომპენსაციას ვერ მოგცემთო. რამდენიმე სტატია გამოვაქვეყნე ჩვენს გასაჭირზე, ერთი პრეზიდენტის სახელზეც იყო, არაფერმა გაჭრა. მერე ერთდღიანი აქცია მოვაწყე გერმანიის საელჩოს წინ, არც ამან გვიშველა. ბოლოს დავიარე გაზეთების რედაქციები და ვთქვი, რომ მეორე დღეს უვადო პოლიტიკურ აქციას ვიწყებდი გერმანიის საელჩოს წინ ორი ინგლისურენოვანი ტრანსპარანტით: „ბატონო ელჩო, დამიბრუნეთ ბინა!" და „გვიხსენით მერიის მაფიისაგან!" დილით, საელჩოს წინ, ათამდე გაზეთის რეპორტიორი დამხვდა. სამი-ოთხი საათი თუ ვიდექი იქ, რომ შავი ვოლგა მომადგა, მერიაში წამიყვანა და ათი ათასი ლარი სასწრაფოდ გადმომირიცხა.

**— როგორც უცხო ენათა ინსტიტუტის პროფესორი, ხომ არ დაკვირვებიხართ, ქვეყნის ბედ-იღბალი აინტერესებს თუ არა დღევანდელ სტუდენტობას?**

— სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ აპოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია და პუტჩთან, ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან ერთად ჩაკვდა. ჩემი დაკვირვებით, უცხო ენათა ინსტიტუტში დღეს სტუდენტთა უმრავლესობას ქვეყნის ბედ-იღბალი ნაკლებად აინტერესებს, უმრავლესობა ან საერთოდ ვნებადამცხრალი და ინერტულია, ან საზღვარგარეთ ცხოვრებას ელტვის, ან თვითგადარჩენის, არსებულ ვითარებასთან შეგუება-ადაპტაციის

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

# კრიმინალური ქრონიკა

29 აპრილს, ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს საჭილაოს ქუჩის №60-ში მცხოვრები, წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 34 წლის ტარიელ ხატიაშვილი, რომლის ბინიდან ამოღებულია ორი საბრძოლო ხელყუმბარა „ფ-1", თავისი დეტონატორებით.



გამოძიებას აწარმოებს ნაძალადევის რაიონის საგამოძიებო განყოფილება.

* * *

25 აპრილს, საბურთალოს რაიონის პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენში მცხოვრები, 25 წლის გიორგი კაკაშვილი, რომელიც ნარკოტიკის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კაკაშვილი წარსულში რამდენჯერმეა შემჩნეული მსგავს „ცელქობაში", მაგრამ, როგორც ჩანს, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია."

* * *

28 აპრილს, გლდანის შ. ს. სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მეხუთე მიკრო-რაიონის 26-ე კორპუსის მცხოვრები 37 წლის რამზიკ ბაკოევი, რომელმაც გაქურდა მეზობელ კორპუსში მცხოვრებ მეგი კანდელაკის ბინა.

ბაკოევს „ოპერაციის" ჩატარებაში ნამდვილად არ გაუმართლა; ნაქურდალი ამოღებულია და ახლა საკადრის სასჯელსაც ელოდება.

**შ. ს. მთავარი სამმართველოს პრეს-სამსახური; „ფოტო-ნიუსი".**



### ხანძარი

28 აპრილს, გამთენიისას, 06 საათზე, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო, ხანძარი გაჩნდა კანდელაკის ქუჩის №23-ში მდებარე სამსართულიანი კერძო ბინის მანსარდასა და მესამე სართულზე.

10 სახანძრო მანქანა და 5 სპეცმანქანა შემთხვევის ადგილას ზუსტად ოთხ წუთში გამოცხადდა. გამძვინვარებული ცეცხლის ჩაქრობა, თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად 24 წუთში გახდა შესაძლებელი. სტიქიამ 250 კვადრატულ მეტრამდე ფართობის მანსარდა, სახურავი და მესამე სართულის ჭერი გაანადგურა. საბედნიეროდ, მოსახლეთა და მეხანძრეთაგან არავინ დაშავებულა.

### ავარია

29 აპრილს, ღამის 02 საათზე, ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ გზაზე, მძღოლთა დაუდევრობამ და გადაჭარბებულმა სიჩქარემ კიდევ ერთი ტრაგედია დაატრიალა.

მწვანე ფერის ავტომობილი „ნივა", რომელიც ყაზბეგის





გამზირიდან ვაკის მიმართულებით მოძრაობდა, შეეჯახა თეთრი ფერის „ვაზ-2107"-ს. დაჯახების შედეგად დაზარალებული 07-ის მძღოლი, მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში, ხოლო „ნივაში" არავინ დაშავებულა.

**„ფოტო-ნიუსი"**

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

## პრეზიდენტი მართალს ამბობს

ეკონომიკის დარგში ისევე, როგორც ყოველთვის, პრეზიდენტი გვაცნობს სასიხარულო რიცხვებს წარმოების ზრდის და გადასახადთა აკრეფის ზრდის შესახებ, პირველის ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელი არის 11,2 პროცენტი შარშანდელთან შედარებით, მეორისა, — 186 მილიონი ლარი მომავალ კვარტალში, რაც წლიწადში ოთხჯერ მეტს გულისხმობს დაახლოებით. იმაზე, რაც მთავარია — რა პერსპექტივა აქვს ასეთი მასშტაბის შემოსავალთა მქონე ეკონომიკას ორმილიარდიანი (დოლარებში) განუხრელად მზარდი საგარეო ვალის პირისპირ, რა გზით გაჩნდა ეს ვალი (ეს საზოგადოებისთვის ცნობილია) ან რა კეთდება დამნაშავეთა დასასჯელად — პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, დუმს.

მსმენელი ვერ შეიტანს ეჭვს იმაში, რასაც პრეზიდენტი ბრძანებს საქართველოს ფლოტის ბედზე. იგი, კერძოდ, ბრძანებს, რომ სამოქალაქო ფლოტი „გადარჩა და ფეხზე დადგა", ძველი და დრომოჭმული გემები გაიყიდა და შეძენილ იქნა ახალი. მსმენელის ნდობა ამ სიტყვებისადმი მკვიდრ ცოდნად იქცევა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ანგარიში, რომელი გემები გაიყიდა, როდის და რა ფასად; რომელი ცურავს დღესაც ახალი პატრონის ხელში და რომელი — აღარა. რა არის ამ გემების ფასი, როგორც ჯართისა, და რა — როგორც გამოსაყენებლად ვარგისი გემებისა; რა პროპორციაშია ეს ფასები იმ თანხასთან, რომელიც საქართველომ გემების გაყიდვით მიიღო. რას მოჰხმარდა აღებული თანხა და კერძოდ, რა მიიღო მისგან საქართველოს ფლოტმა. იქნა თუ არა შესყიდული ახალი გემები, როდის და რა ფასად. აი, ამ კითხვების პასუხი უნდა იყოს ოფიციალურად გამოქვეყნებული, ხოლო „ჟურნალისტური გამოძიება", რომლის რეკომენდაციასაც პრეზიდენტი იძლევა, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს, და არა მანამდე.



იგივე კითხვები დგება, რასაკვირველია, საქართველოს თევზმჭერი ფლოტის მიმართ, რომელიც ფოთზე იყო მიწერილი (და შესაძლოა არის კიდეც).

ეკონომიკას — და არა მხოლოდ ეკოლოგიას — განეკუთვნება ჭოროხზე დერინერის კაშხლის მშენებლობის თემა. ძალიან სასიხარულოა, რომ ქართული და თურქული მხარე შეკრიბა ამ თემაზე სალაპარაკოდ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მსმენელის კმაყოფილება მხოლოდ მას შემდეგ იქნება საფუძვლიანი, რაც გამოქვეყნდება მოლაპარაკების შინაარსი.

პოლიტიკის დარგში მსმენელი უყოყმანოდ მხარს უჭერს პრეზიდენტის, როცა იგი ამბობს, „მე არ ვარ ვალდებული ჩემი რანგით", გავცე პასუხი რუსეთის საგარეო სამინისტროს არამეგობრულ განცხადებას, ამისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავსო. ასევე, საერთო კმაყოფილება გამოიწვია ვ. ნადიბაიძის თანამდებობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილებამ, რომელიც პრეზიდენტმა გამოთქვა. თუმცა, ალბათ, არავინ დაიჯერა (პრაქტიკული გამოცდილებით), რომ ვ. ნადიბაიძის ყოფნას მინისტრის პოსტზე ხუთი წლის მანძილზე რაღაც გამართლება ჰქონდა.

## პრეზიდენტი ცდება

ეკონომიკის დარგში პრეზიდენტი ცდება, ჯერ ერთი, იმაში, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, რაც თავისი ბუნებით ერთჯერადი აქტია, სახელმწიფოს ეკონომიკური ქმედუნარიანობის გაზრდის საშუალებად მიაჩნია. მეორეც: იგი ცდება, როცა ურთიერთგანუსხვავებლად იხილავს ისეთი ობიექტების დაქვემდებარებას უცხო ინვესტორებისადმი, რომელიც უნიკალური არ არის (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარალელურად შესაძლებელია მრავალი სხვა ასეთივე ქარხნის ამუშავება მთელ ამიერკავკასიაში და მის მეზობლობაში), და ისეთი ობიექტებისა, რომელიც უნიკალურ ბაზაზეა დამყარებული და მაშასადამე, „თამაშ გარეთ დარჩენის" საფრთხე არ ემუქრება (გვირაბი, უღელტეხილი და ა. შ.). რის გამოც საქართველოს შეუძლია მასში თავისი პოზიციების მაქსიმალური შენარჩუნებისთვის იბრძოლოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერვიუს ეკონომიკურ ნაწილში ერთი მონაკვეთი, რომელიც ფაქტებით, შესაძლოა, სწორიც არის (თუმცა, როგორც ვაჩვენებთ ქვემოთ, ნაკლებ დამაჯერებელია), მაგრამ ეკონომიკის დაგეგმვის ისეთ მიმართულებაზე მეტყველებს, რომელიც საქართველოსთვის უმაღლითო ეროვნულ კატასტროფას მოასწავებს. აი ეს მონაკვეთი:

„თვითდასაქმებულთა ჩათვლით (ამას მე ხაზს ვუსვამ) 650-700 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ხალხს სამუშაო მიეცა, თუმცა, სამწუხაროდ, ანაზღაურება ძალიან დაბალია. რა თქმა უნდა, ეს ძალზე მტკივნეული პროცესია. იცვლება დასაქმებულთა სოციალური სტრუქტურა — ყველა ვეღარ შრომობს იმ სპეციალობით, რომელიც ძველ ეპოქაში ჰქონდა. მაგრამ ამას ვერ გავექცევით, — ეს გარდაუვალი პროცესია: დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკას სხვა სოციალური სტრუქტურა ექმნება მომავალში. ბუნებრივია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება, გაიზრდება მრეწველობაში მომუშავეთა რიცხვი და მომუშავეთა ხელფასებიც გაცილებით მაღალი იქნება. მთავარია, ადამიანმა შეძლოს სპეციალობის შეცვლა, ამ სტრუქტურის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად, და უმუშევარი არ დარჩეს. სხვათა შორის, მე უმუშევრობის პრობლემაზეც, იმაზეც ვლაპარაკე, თუ როგორ უნდა აღვრიცხოთ და როგორ უნდა ავუნაზღაუროთ გასამრჯელო იმათ, ვისაც მუშაობა უნდა".

„700 ათასი სამუშაო ადგილის" ხსენება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ პრეზიდენტმა უკვე საჭიროდ დაინახა ამომრჩეველს ანგარიში ჩააბაროს „მოქალაქეთა კავშირის" წინასაარჩევნო დაპირებაზე, „საქართველოში მილიონ სამუშაო ადგილს შევქმნითო." რას ნიშნავს ამ კონტექსტში „თვითდასაქმება"? თვითდასაქმებულია იგიც, ვინც ფირმა გახსნა ან ჯიხური დაიდგა, და ისიც, ვინც ხელოსნების „ბირჟაზე", ამაოდ მოელის მუშტარს, ისევე როგორც სამი წლის წინ ელოდა. ასეთ „თვითდასაქმებას" ყველა მშრომელი ეკუთვნის სახელმწიფო ხელფასზე მყოფის გარდა. მაგრამ, ვთქვათ, დავიჯეროთ ასეთი ოპტიმისტური რიცხვები: 700 ათასი დასაქმებული ხომ, ასე თუ ისე, კიდევ 1400 ათას ოჯახის წევრს შეინახავს და, ამგვარად, 2100 ათასი სული აღმოჩნდება „სამშვიდობოს გასული", ანუ გადარჩენილი იმ საშიშროებას, რომელსაც ნელი შიმშილობა ჰქვია. ეს იქნება, ძირითადად, ქალაქის მოსახლეობა, ანუ იმ მოსახლეობის თითქმის ასი პროცენტი, (რადგან, თუ პრეზიდენტი „შექმნილ" სამუშაო ადგილებს იმასაც ათვლის, სოფლად რომ გლეხი მიწას ამუშავებს, ეს სწორი არ არის. ის ადგილები მუდმივია, ანუ მიწა დასამუშავებლად ყოველთვის მზად არის და ხელისუფლების აგრარულ პოლიტიკაზე მხოლოდ ისაა დამოკიდებული, რომელი და როგორი დამმუშავებელი გამოუჩნდება მას).

როგორც ვიცით, საქმე ასე კარგად არ არის და ამის ნათელი ნიშანია ის პენსიონერები, რომლებიც ნაგავს ქექავენ, და ის მეძავობაც უცხო ქვეყანაში, რომლის სტატისტიკაც ჯერ არასოდეს გამოქვეყნებულა.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია: რა მიმართულებით ვითარდება (იცვლება), პრეზიდენტის აზრით, „დასაქმებულთა სოციალური სტრუქტურა", ანუ საით მიდის დღეს საქართველოში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პროცესი? ეს პროცესი, თუნდ მხოლოდ პრეზიდენტის სიტყვებით ვიმსჯელოთ, კატასტროფის გაღრმავებისკენ მიდის. პრეზიდენტი გვიწინასწარმეტყველებს, რომ „მკვეთრად შემცირდება დასაქმებულთა რაოდენობა სოფლის მეურნეობაში." მაგრამ სად წავლენ ის დაუსაქმებელი სოფლელები? მრეწველობაში, სადაც, პრეზიდენტის სიტყვიერი შეპირებებით, რომელსაც არავითარი გათვლა არ ამაგრებს, მომუშავეთა რიცხვიც გაიზრდება და ხელფასებიც"? რა გაზრდის? რომელი სასწაული? განა ცოტაა ამ ქვეყნად თავისუფალი სახელმწიფოები, არა თუ უცხო აგენტურის თანამონაწილეობით მართული, რომელთაც მრეწველობა არ ეზრდებათ და მისი ზრდის არავითარი პერსპექტივა არ უჩანთ? ხომ არ დაგვავიწყდა, რომ მრეწველობაში შრომის ინტენსიფიკაცია ხდება და, მაშასადამე, იმ პროდუქციის გამოშვებასაც, რასაც საქართველოს მრეწველობა ადრე უშვებდა, ორჯერ-სამჯერ ნაკლები მუშახელი დასჭირდება მომავალში? არა, ამგვარი ნათელი პერსპექტივა არსებულ პოლიტიკას არა აქვს.

ის დაუსაქმებელი სოფლელები კი წავლენ (რადგან ე. წ. „მცირე ბიზნესის" განვითარებას სოფლად, არსებული პოლიტიკის პირობებში, არანაირი პერსპექტივა არა აქვს), მაგრამ ქალაქში ვერ მივლენ, რადგან იქ არც სამუშაო დახვდებათ და არც ბინა. მაშასადამე ისინი წავლენ ან კრიმინალთა რიგებში, ან საზღვარგარეთ (და რა „ბედი" ელით იქ, ყველამ ვიცით). მით უმეტეს, რომ თუ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა თავისუფალ ბაზარზე გაიყიდება, მისი დღეს ერთადერთი ფულიანი მუშტარი — უცხოელი — იმ „დასაქმებულთა" ეროვნულ შემადგენლობასაც შეცვლის და სოფლებიდან ქართველი მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს კი არ მოუხდება წამოსვლა, არამედ მასას. ეს ქართველი ერის გენოციდის უტყუარი, გარანტირებული გზაა. პრეზიდენტის მსჯელობა ან იმას მოწმობს, რომ იგი ამ პერსპექტივის განჭვრეტას ვერ ახერხებს, ან იმას, რომ იგი მოვლენათა ამ განვითარებას ურიგდება.

სპეციალობათა ცვლას, რომელზედაც პრეზიდენტი ლაპარაკობს, „სოციალური მობილობა" ჰქვია. გლეხის შვილი რომ პროფესორად იზრდება ან, პირიქით, ფილოსოფიის კანდიდატი ქალი რომ უცხო ქვეყანაში დედაბერს მომვლელად უქირავდება, ორივე ეს შემთხვევა სოციალური მობილობა გახლავთ. ასეთი ფაქტები ყველგან არის (მეტ-ნაკლები მასშტაბით). მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობას თუ, პირიქით, კატასტროფულ მდგომარეობას გამოხატავს არა მობილობის არსებობის ფაქტი, არამედ მისი მიმართულება — აღმავალია იგი, დამავალი, თუ ჰორიზონტალური. ამასთან, მისი მიმართულება განისაზღვრება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ აგრეთვე მისი ბალანსით სხვა ქვეყნებთან. თუ მსოფლიოში სოციალური მობილობა, ძირითადად, აღმავალია, საქართველოში კი — მკვეთრად დამავალი (რასაც, ცხადია, დიდად უწყობს ხელს განათლების შეკვეცის პოლიტიკაც დღევანდელ საქართველოში), და თუ, ამასთანავე, საქართველოსა და იმ უცხო ქვეყნების მოსახლეობა ერთსა და იმავე შრომის ბაზარზე გადის, ეს ცხადია, საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კატასტროფის გამოხატულება გახლავთ. გაბოგანოებული და საზღვარგარეთ დასაქმების მაძიებელი ქართველი მასა, ერთ დროს რომ შედარებით განათლებულად და გონებრივი შრომის მაღალი პროპორციის მქონედ იყო სამართლიანად მიჩნეული, არსებული პოლიტიკის გაგრძელებათ მსოფლიოს შრომის ბაზარში გავა, როგორც არაკვალიფიციური დასაქმების მაძიებელი მასა.

## პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

მსმენელი ვერ ერწმუნება პრეზიდენტს იმაში, რომ სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს, არ ფიქრობდეს, ვინ, ანუ რა ხარისხისა და თვისებების პიროვნება შეცვლის მას მისი ასპარეზიდან მოულოდნელი წასვლის შემთხვევაში. ვერც იმაში ერწმუნება, რომ საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციით ნაგულისხმევი წესი, რომლის თანახმადაც მას ცვლის საკანონმდებლო (და არა აღმასრულებელი) ხელისუფლების წარმომადგენელი, გონივრულია. კითხვაზე თუ რატომ არ უნდა საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს, ჰყავდეს ძლიერი ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც მას ავტომატურად შეცვლის, მსმენელს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: იმიტომ, რომ პრეზიდენტს სურს, ქვეყნის ბედი მის სიცოცხლეზე იყოს დამოკიდებული, რომ მოქალაქე ამბობდეს „თუ ეს პრეზიდენტი არა, მაშ ვინ?", რომ პრეზიდენტის იქით მოქალაქეს მხოლოდ ქაოსი და სიცარიელე ეგულებოდეს, რადგან სხვა საფუძველი მოქალაქის მიერ პრეზიდენტის მხარდაჭერისათვის დღეს, სამწუხაროდ, არ არსებობს.

შემატკივარი

---

მესამე გვერდიდან

აკვიატებული აზრითაა მონუსხული. დიახ, ეროვნულმა უცხო ენათა ინსტიტუტში უკანა პლანზე გადაიწია, წინა პლანზე თვითგადარჩენის მშობლიური ინსტიქტი გამოვიდა.

**— უსმენთ თუ არა საქართველოს პარლამენტის სხდომებს და რას იტყვით მის მოღვაწეობაზე?**

— საქართველოს პარლამენტის სხდომები იმდენად უშინაარსო, ერთფეროვანი და კონფორმისტულია, რომ მათი სერიოზული, სისტემატური სმენა დროის კარგვად მიმაჩნია, ისე კი, მოცალეობისას, ათასში ერთხელ, მართლა შევავლებ ხოლმე თვალს ზოგიერთის გამოსვლას და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ, წესისამებრ, ფუქსიტყვაობის გარდა არაფრითაა პარლამენტი გართული. თქვენ დამამტკიცებელი საბუთი გინდათ? ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს სათავეში ზომაზე მეტად გამჭრიახი და ენერგიული ხალხი დგასო, ესაა მხოლოდ, მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას ახმარენო, პურის მოსავალი იმიტომ ჩააგდეს, საზღვარგარეთიდან შემოტანილი იაფი ან სულაც უსასყიდლო პურის ფქვილი გაესაღებინათ და გამდიდრებულიყვნენო, ვაზის გაჩანაგება და გლეხის გალატაკებაც იმიტომ უნდათ, მუქთად ჩაიგდონ ხელში გაველანებული სავარგულები და მიწათმფლობელები გახდნენო. აღარაფერს ვიტყვი გაუპატიურებულ ტყეებზე, უდაბურობად ქცეულ ჩაის პლანტაციებზე, მშიერ-მწყურვალ ლტოლვილსა თუ მკვიდრზე გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, საჯავახოში, თბილისში.

**— რას გვეტყვით შევარდნაძის ფენომენზე. რატომაა ხალხი ასე უარყოფითად განწყობილი მისდამი?**

— Вблизи царя, ამბობს რუსული ანდაზა, ქალბატონო ლელა! თქვენი კითხვა იძულებულს მხდის სახიფათოდ მივუახლოვდე პრეზიდენტს.

პუტჩის სისხლიან დღეებში და შემდგომ ბევრს ეგონა — ისეთებსაც კი, ზვიად გამსახურდია რომ უყვარდა — ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა დაანაყრებდა, დაიყრებაო საჭმელი, ტანსაცმელი, ტექნიკა, დიდი ავტორიტეტი აქვსო დასავლეთში, ამბობდა. საქონელი მართლაც დაიყარა, მაგრამ ხალხი ვერ დანაყრდა და ახლა ისიც კი, ვისაც შევარდნაძის იმედი ჰქონდა, უარყოფითად [illegible] დამი, გაბოროტდა. მაგრამ თქვენ, ალბათ, მშიერ-მწყურვალთა განწყობილებები ნაკლებად გაინტერესებთ, აქ ხომ ყველაფერი მარტივი და გასაგებია. თქვენ, ალბათ, მეტ-ნაკლებად მაძღართა აზრი გინდათ გაიგოთ ჩვენს პრეზიდენტზე. ჰოდა, ერთმა ასეთმა მეტ-ნაკლებად მაძღარმა, ამასწინათ, ორთაჭალაში რომ მაღალ შენობას ლამაზი მესერი აქვს შემორტყმული, ის დამანახა და ერთი მილიონი დაჯდაო ეგ — მითხრა. — შევარდნაძისააო, დაურთო. თელავში კი შეზარხოშებული მეღვინე სუფრას უმტკიცებდა, რამდენიც არ უნდა იფხაკუნო, მაღალ დონეზე მაინც ვერ გახვალო, იქ, იმ დონეზე ყველაფერი პირველს ეკუთვნისო. თუმცა სუფრა ან მეღვინე აქ რა მოსატანია, წაიკითხეთ სარედაქციო სტატია გაზეთ „რესპუბლიკაში": „საქართველო არის ისეთი, როგორ მაგალითსაც აძლევენ შევარდნაძეები" — მარტო სათაური რად ღირს! — და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქართველ ბიზნესმენთა იმ აწ უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვან არმიას, „შევარდნაძეთა კლანი" გასაქანს რომ არ აძლევს, დადებითი ემოციები ნამდვილად ვერ ექნება პრეზიდენტის მიმართ. აღარაფერს ვიტყვი ე. წ. ზვიადისტებზე — ზვიადისტი კი ყველაა, ვისაც „დიდოსტატის მარჯვენა" ან „დავით ალმაშენებელი" — ხუ[illegible] წავლია, ნაუკითხავს — ან თუნდაც, [illegible]. აღარაფერს ვიტყვი ზვიადისტებზე, ნაღდ ქართველთა უმეტესობას რომ წარმოადგენენ და არასოდეს დაავიწყდებათ გაძარცული სამეგრელო, კონსტანტინე გამსახურდიას შერყვნილ-გაძარცული სახლ-მუზეუმი, ზვიად გამსახურდიას რუსის იარაღით საქართველოდან განდევნა და მოკვდინება. ხალხი მართლა უარყოფითადაა განწყობილი ედუარდ შევარდნაძის მიმართ. უარყოფით განწყობილებას განსაკუთრებით ის ამწვავებს, რომ პრეზიდენტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კრიტიკის გაბედულ, სამართლიან სიტყვას. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას ქართველი ერის ბედიღბალი საერთოდ არ აწუხებს, თითქოს იგი ქართველების მხოლოდ ერთ გარკვეულ, ხელშეუხებელ, ქლესა, უნიათო ფენას ეყრდნობა. აკი გაისმა კიდეც პარლამენტში

## „სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ აპოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია"

რომელი ერთი დაგისახელოთ? აგერ, ბატონი თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთის დევნილი მთავრობის თავმჯდომარე, მერამდენედ აცხადებს, აფხაზეთის დაბრუნება იარაღის, ბრძოლის, ომის გარეშე არ იქნებაო. მე ვეკითხები ბატონ ნადარეიშვილს, შეუძლია ქვეყანას, რომლის გულშიც ოცკაციანი ტერორისტული ჯგუფი ივანებს, თავს ესხმის პრეზიდენტს და უგზოუკვლოდ უჩინარდება, დიახ, შეუძლია ასეთ ქვეყანას ომის მოგება აფხაზეთთან, რომლის უკან რუსეთი და განა მხოლოდ რუსეთი დგას?! ბატონი თამაზ ნადარეიშვილი თქვენთვის ავტორიტეტი არაა? კეთილი და პატიოსანი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჟვანია ხომ არის! ჰოდა, ბატონი ზურაბ ჟვანია გვიმტკიცებს, რომ ამერიკაში მის სტუმრობაზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილი არაა, რომ ამ სტუმრობის შედეგად მან გაღატაკებული სამშობლოსათვის ას (100) მილიონ დოლარზე მეტი სესხი აიღო. არ არსებობს უფრო დიდი შეცდომა, ვიდრე ის, როცა კაცს მიზეზი შედეგი, ან შედეგი მიზეზი ჰგონია. ამ შეცდომას მე გონების გახრწნის ნიშანდობლივ ფორმას ვუწოდებ. განა ბატონ ზურაბ ჟვანიას არ უნდა ესმოდეს, რომ ქართველი ერის უბედურება სესხ-კრედიტების (გინდა ჰუმანიტარული დახმარების, გინდა კერძო პირთაგან მიღებული შეწირულობის) ნაკლებობა კი არაა, ამ სესხ-კრედიტების უკანონო მითვისება ან, უკეთეს შემთხვევაში, თავმოუბმელად, უმისამართოდ ხარჯვაა?!




**— აგრერიგად რატომაა დაცილებული ერთმანეთს ხალხი და ხელისუფლება?**

— იმიტომ, რომ ხელისუფლება მაძღარია, ხალხი კი მშიერი. დღევანდელმა ხელისუფლებამ იმას მიაღწია, რომ საქართველოს უმდიდრესი კუთხე, კახეთიც კი ეკონომიური კატასტროფის წინაშე დააყენა. სახელმწიფო სტრუქტურები, მთავრობა გლეხს შაბიამანს, გოგირდს არ აწვდის. ვაზი ნადგურდება, არაა ტექნიკა, ქარხნები ყურძნის მოწეულ მოსავალს ვერ იბარებს. შარშან სახელმწიფომ კომბაინით დაალალატა სოფელი, პურის, ხორბლის მოსავალი ჩააგდო. ერი გმინავს. მავანის ვენახი ათი, თხუთმეტი კილომეტრითაა დაშორებული საცხოვრებელს, ხელისუფლებას იმის თავი არა აქვს, ავტობუსი გამოუყოს. ზოგი ამბობს, უნიათონი, თავმოუბმელნი მართავენ ქვეყანასო, ზოგი კი პირიქით, „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", — ხელშეუხებლობის ბილწი პარაზიტის წინააღმდეგ.

— განათლების მინისტრზე იმდენი წერილი გამოქვეყნდა, ან მინისტრი უნდა დასჯილიყო, ან წერილების ავტორი. უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორის ანტიეროვნულ საქმიანობაზე სტატიების სერია გამოვაქვეყნე — ყურადღება მიაქციეთ სათაურებს: „ვინ არის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი?", „როცა თვალხილულს წინ ბრმა მიუძღვის", „დღევანდელი დღის აპოკალიფსია". — ბოლო წერილით პრეზიდენტს მივმართე — მოთქმა-მოთქმაა [illegible], ბატონო პრეზიდენტო?" ხელისუფლებამ პირში წყალი ჩაიგუბა.

მე შემიძლია ადამიანურად გავუგო პრეზიდენტს ნათესავების, მეგობრების, თანამებრძოლების დაცვა — პროტექციონიზმში, მაგრამ მეუღლის მეგობრის, ქალბატონ ლეილა სადრაძის მეგობრის მფარველობა ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია. მოსიძე ხომ იმათ ფრჩხილის ფასად არ ღირს, ვინც მან ინსტიტუტიდან გაუშვა; ვისაც სდევნის, ვისაც ავიწროებს.

მოსიძეებთან, ძველ გვარდიასთან, კომკავშირ-თანამებრძოლთა უკანასკნელ მოჰიკანებთან ალტყინებულმა ფერხულმა სამშობლოს კარგი ვერაფერი მოუტანა. მოუტანა აუტანელი, სათაკილო ყოფა-ცხოვრება, დაუცველობა წარმოსახვის ყველა დონეზე — პენსიონერით, ასპირანტით, მასწავლებლით, ბიზნესმენით, გლეხით, მწერლით, მეცნიერით დაწყებული პრეზიდენტით დამთავრებული. ასე რომ არ იყოს, როგორ შეძლებდა მრავალრიცხოვანი ბოევიკი პრეზიდენტის რეზიდენციასთან (!!!) პრეზიდენტზე ნაღმტყორცნებით თავდასხმას და მოჩვენებასავით უგზო-უკვლოდ გაუჩინარებას? თუმცა, მთლად უგზო-უკვლოდ არა. ყველას გვახსოვს ჩეჩენი ახალგაზრდის გვამი და სალმან რადუევის სიტყვები ტელეეკრანზე. ესაა მთავარი. დანარჩენი ამაოებაა ამაოებათა და ქარის გამოდევნება.

ტერორისტული აქტის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ღირსეულად შეაფასა უშიშროების კომიტეტი, მადლობა გადაუხადა მას. ერთადერთი, ვისთვისაც მას მადლობა უნდა გადაეხადა გერმანული გენიადაჯავშნული მერსედესი — უნდა ყოფილიყო. რატომ

გაგრძელება მე-11 გვ.

# ხმა ხალხიდან

## ნუ უკრავთ „ფლაყვე" ტაშს!

ამ სიტყვებით მივმართავ მათ, ვისაც სჯერა დღევანდელი ხელისუფლებისა. ეს ეხება პარლამენტის უმრავლესობას და იმათაც, ვისაც სჯერა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ასეთი მეთოდებით დაბრუნების. მხედველობაში მაქვს ის, რომ რაც ბატონი ედუარდი მოვიდა სახელმწიფოს მეთაურად, მხოლოდ ორმაგი თამაშით მიმდინარეობს უსუსური პოლიტიკის გატარება ამ მიმართულებით.

დაკვირვებული ვარ, რომ თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაურთა შეკრების წინა პერიოდში, დაახლოებით ერთი თვის წინ, ჩვენი პრეზიდენტი თითქოსდა თითის დაქნევით მოუწოდებს რუსეთს, კერძოდ, მის პრეზიდენტს, რომ ხელმოწერილი დოკუმენტები ქაღალდზე რჩება, საქმე არ გვარდება და ლტოლვილები თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე ვერ ბრუნდებიან. იქმნება დოკუმენტები, რომელიც წინა დოკუმენტებისგან არ განსხვავდება, წინადებები, რომლებიც შედგენილია და წარმოადგენს უკანასკნელ გაფრთხილებას, რომ ახალი სამიტის შეხვედრაზე დაისმება საკითხი საბოლოოდ გადაჭრისათვის. მიემგზავრება დელეგაცია ამ პრობლემების მოგვარებისათვის, მაგრამ ადგილზე ჩასვლის დროს იხატება სულ სხვა სურათი. მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ, მე მეჩვენება, რომ სანამ ეს მთავრობა იქნება ქვეყნის სათავეში, ჩვენ ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ და ვერც სამაჩაბლოს. მახსენდება გადაცემა რუსეთის ტელევიზიიდან, სადაც ითქვა, რომ სანამ ედუარდ შევარდნაძე იქნება საქართველოს სათავეში, საქართველო სამაჩაბლოს და აფხაზეთს ვერ დაიბრუნებსო. ეს სიტყვები წარმოთქვი ბორჯომში პრეზიდენტობის კანდიდატ ჯუმბერ პატიაშვილთან შეხვედრის დროს. დამერწმუნებით, რომ ფაქტი ჯიუტია, მაგრამ მინდა, რომ ვცდებოდე.

დღემდე ვერ გამიგია, ორმაგი თამაში ვის აწყობს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს არ გამოგვადგება, მოვა ახალი ივნისი, დეკემბერი, სანამდის უნდა ვატყუოთ საკუთარი თავი და გაუბედურებული ლტოლვილები. ყოველი საათის დაკარგვით ჩვენი უსუსური მოქმედებით ვაძლიერებთ აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებას. ისინი ყოველ ძალას ხმარობენ თანამედროვე ტექნიკის შეძენისათვის, რათა მიუწვდომელი გახდეს ყველასათვის, ვინც კი მოისურვებს მათ დამხობას. გათავხედებული ოსების თარეში ჩვენს მშობლიურ ტერიტორიაზე იმ ზომამდე მივიდა, რომ უკვე ხორცს ასხამენ სანუკვარ მიზანს: ჩრდილოეთთან გაერთიანდნენ და თავიანთი სახელმწიფო შექმნან ჩვენი ტერიტორიის ხარჯზე.



ისმის კითხვა: რას ვაკეთებთ? ჩვენ, ქართველებმა, როდემდის უნდა ვკარგოთ ტერიტორიები. ნუთუ ასე წავხდით, ჩვენ თავს აღარ ვეკუთვნით?

გვითხარით, ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენ არ გიჭირთ შიშის სინდრომის დაძლევა, სხვა გზა თუ გაქვთ არჩეული? რაც თქვენ მოევლინეთ საქართველოს ხელმძღვანელად, მე არ მახსენდება თქვენს მიერ სამშობლოს საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯი. მარტო ღიმილი და ტელევიზორიდან ტკბილ-ტკბილი დაპირებები საქმეს არ აკეთებს.

ვფიქრობ, რომ ძალზე ცუდად ვთამაშობთ, საკუთარ მოედანზე. გაყოფილია ხალხი, პარლამენტში სრული ქაოსია, უმრავლესობა-უმცირესობა დაპირისპირებულია ერთმანეთთან. ვიღებთ კანონებს. უმრავლესობამ ყოველ თქვენს მიერ წამოყენებულ წინადადებას, სასარგებლო იქნებოდა ის ერისთვის თუ საზიანო, თვალდახუჭულმა, ყოველგვარი განხილვისა და გაანალიზების გარეშე მხარი უნდა დაუჭიროს.

მე ყოფილი სამხედრო პიროვნება გახლავართ. 1992 წლის 2 მარტს გაზეთ „საქართველოში" გამოვაქვეყნე წერილი „ეს ქმედება მავნებლობის ტოლფასია". არ ვიცი, თქვენ და პარლამენტმა წაიკითხეთ ეს სტატია თუ არა, მაგრამ რასაც ვწერდი, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის მოქმედება ერისთვის საზიანოს წარმოადგენს და მისი მოქმედება ნამდვილად მავნებლობაა-მეთქი, არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, სანამ პირადად თქვენ ძალზე არ განაწყენდით მის გულგრილობაზე თქვენდამი.

ახლოვდება 26 მაისი, აღლუმის ჩატარება ძალზედ ძვირად დაგვიჯდა შარშან. დაახლოებით, თუ არ ვცდები, ექვსი მილიონი ლარი დაჯდა. თავდაცვის სამინისტროსთვის განკუთვნილი საწვავის ნახევარი წლის მარაგი დავხარჯეთ. ვის უნდა ვაჩვენოთ ჩვენი დაჟანგული ტექნიკა, ამით ვის ვაშინებთ, პირიქით, სასაცილოები ვხდებით და ამით ჩვენს გარშემო მყოფი მტრების გულებს ვახარებთ. ნუ ვირცხვენთ თავს ჩვენი მეზობლების წინაშე. სომხებს დღეს რომ ტექნიკა აქვთ, ალბათ მრავალ სახელმწიფოს არ დაესიზმრება, მაგრამ ისინი ხომ ჭკვიანები არიან, სააშკარაოდ არ ყვირიან და ტექნიკის დემონსტრირებას არ აკეთებენ.

ბატონებო! ყველას მოგმართავთ, ვისაც ამ მტკივნეული საკითხის გადაწყვეტა გეკუთვნით. ნუ გეწყინებათ, მოუხმეთ თქვენს გულისთქმას; ყველას ყველაფერზე ნუ უკრავთ „ფლაყვე" ტაშს. დრო არ ითმენს, თუ დაგვიანებული არ არის. დღევანდელი გადაწყვეტილება სამშობლოს გაერთიანება-გამთლიანებისთვის საკმარისი არ არის. მოგიწოდებთ ვიბრძოლოთ უფრო აქტიური, რეალური გადაწყვეტილების მიღებისათვის.

**გიორგი ელიოსიძე**

# განცხადება

ბოლო ხანს საქართველოში რეოკუპაციის შედეგად დამკვიდრებული რეჟიმის მიერ შიდა ქართლში ხდება ოსური პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის იურიდიულად „აღიარების" ფორსირება: მმართველობის სტრუქტურებისა. და ოფიციალური საინფორმაციო ორგანოების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლები დემონსტრაციულად ახსენებენ „სამხრეთ ოსეთსა" და მის ეგრეთ წოდებულ „პრეზიდენტს" ლუდვიგ ჩიბიროვს, რაც იურიდიულად დანაშაულებრივი ქმედებაა, რადგან:




1. „სამხრეთ ოსეთი" ბუნებაში არ არსებობს: 1922 წელს საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის პირობებში ოკუპანტის მიერ (და არა საქართველოს ორგანოთა მიერ) ხაერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით ბოლშევიკური ძალადობის შედეგად შექმნილი საბჭოური სუროგატული წარმონაქმნი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის ივნისში კანონგარეშე გამოაცხადა.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს იურიდიულად სრულყოფილად გააუქმა უკანონო წარმონაქმნი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი." სსრკ საკანონმდებლო ორგანოებს, რომელშიც იმ დროს შედიოდა საქართველოს რესპუბლიკა, ამ დადგენილების გაუქმება არ უცდია.

3. 1991 წელს დამოუკიდებელი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარე ბ. ელცინმა ყაზბეგში საქართველოს უზენაესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარე ზ. გამსახურდიასთან უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ფაქტობრივად ოფიციალურად ცნო „სოაო"-ს გაუქმება.

რუსეთის დღევანდელი კურსი სეპარატისტთა მხარდაჭერისა ელცინის იმ დროს არსებული პოზიციის წინააღმდეგაა მიმართული.

4. შიდა ქართლში სამართლებრივად არარსებული ტერიტორიული ერთეულის „პრეზიდენტის არჩევნები" 1996 წლის 26 ნოემბერს საქართველოს ამჟამინდელმა „პარლამენტმაც" კი ბათილად მიიჩნია.

ის, რომ ქალაქ ცხინვალს, ჯავის რაიონსა და ყორნისის რაიონის ზოგიერთ სოფლებს აკონტროლებენ დანაშაულებრივად თვითმარქვია ოსი ექსტრემისტები, იქ რუსეთის საოკუპაციო შეიარაღებული ძალების ყოფნისა და საქართველოს მარიონეტული რეჟიმის წაქეზების შედეგია.

ამიტომ, შიდა ქართლში ნებისმიერი რანგის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის კიდევ ერთხელ დაარსება სისხლის სამართლის დანაშაული იქნება, რასაც ადეკვატური რეაქცია მოჰყვება.

**სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭო**

### კომენტარი

ახლახანს შევარდნაძის ფინანსთა მინისტრმა ჭკუასელმა დიდი ლიახვის ხეობაში იმოგზაურა, რითაც კმაყოფილება გამოხატა ტელეკომპანია „იბერიის" თანამშრომელ ხოფერიას რეპორტაჟში. „ემისრის" ასეთი შთაბეჭდილება, როგორც ტელეეკრანიდან ჩანდა, გამოიწვია ვოიაჟის მთელმა კომპლექსმა: ცხინვალის შესასვლელში განლაგებული გამშვები პუნქტის გავლისას ჩიბიროვის მითითებით, მას, როგორც „უცხო ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენელს", რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით საბაჟო პროცედურა არ ჩაუტარეს; სახეგაბადრულ ჭკუასელს აშკარად სიამოვნებდა ჩიბიროვთან და მის ფინანსთა მინისტრთან საუბარი, რაკი ბედნიერება ჰქონდა განეცხადებინა, რომ საქართველო „საკონტრიბუციო თანხის" გადახდაზე უარს არ ამბობს. მან გული იჯერა „სამხრეთ ოსეთისა" და „ბატონ პრეზიდენტ" ჩიბიროვის წამდაუწუმ ხსენებით; ივანე მაჩაბლის შარშან აფეთქებული სახლ-მუზეუმის ნანგრევებთან იგი დაეთანხმა შევარდნაძის მეორე „ოფიციალურ პირს" — ბოჭორიძეს იმაში, რომ „გამოძიება გრძელდება" და უახლოეს ხანში დადგინდება, ოსებმა ააფეთქეს თუ ქართველებმა (???!!!) ხეობის ქართულობის უტყუარი მოწმე. თვით ივანე მაჩაბლის იუბილე კი, რომელიც შარშან უნდა გამართულიყო, ჭკუასელის მოგზაურობის „სასიამოვნო თემატიკაში" არ შედიოდა და არც არავის გახსენებია.

## ქრთამი მებაჟეების მოგონილიაო...

ბოლო დროს საქართველოს საზღვრებზე გამეფებულმა განუკითხაობამ, ქართველი მებაჟეების თავდაუზოგავმა ლტოლვამ საკუთარი ჯიბის გამდიდრებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის გალარიბებას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ქვეყნის ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული თუ დაუბეგრავი პროდუქციის სატრანზიტო გზად გადაქცევას შეუწყო ხელი. სავალდებულო გადასახადის თავიდან აცილების მიზნით, საბაჟოს თანამშრომლებზე გაღებული ქრთამის მეშვეობით, სხვადასხვა სახის მევაჭრეებს ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შემოაქვთ ნაირნაირი დასახელების პროდუქცია. კონტრაბანდულ საქმიანობას არც სახელმწიფო მოხელეები ერიდებიან. ამიტომაც არის, რომ კორუმპირებულ საზოგადოებას, როგორც ამბობენ, ასეთი აღმავლობა ჯერ არ განუცდია.

ეს დანაშაული მკითხველს, ალბათ არც გააოცებს და არც აღელვებს, მაგრამ ვფიქრობთ, ყურადღების გამახვილება მაინც ღირს, რადგან მას ბევრი მიმბაძველი ჰყავს და უფრო ბოროტი მიზნებისთვისაც იყენებს. 1998 წლის მარტში, დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალის მცხოვრებმა 42 წლის მზია ბურდულმა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკიდან ყაზბეგის რაიონის საბაჟოს გავლით საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 14000 ლარის ღირებულების 10040 ქილა მარგარინი „რამა" და 3744 ქილა თევზის კონსერვი „შპროტი", რომლებიც სარეალიზაციოდ ჩააბარა თბილისში ბაზრის სავაჭრო ჯიხურებში.

დღეს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ საიმედო მფარველებისა და ე. წ. „კრიშების" ინსტიტუტზე. უბრალო მოხელე ქრთამის აღებას ვერ გაბედავს, თუ მის გვერდით


Photo News

გავლენიანი პირი არ დგასო. თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, გასულ წლებთან შედარებით, წელს, იანვრიდან დღემდე, კორუფციის დანაშაულმა 80 ერთეულით იმატა, რაც ნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევები ყოველდღიურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ზემოთაღნიშნული ფაქტი ზღვაში წვეთია, იმასთან შედარებით, რაც დღეს საქართველოში ხდება. ქრთამი მებაჟეების მოგონილიაო, იმასაც ამბობენ. უხსოვარი დროიდან ამისი ბევრი მაგალითი არსებობს. არადა, ქვეყნის კეთილდღეობა და ზნეობა ხომ მისი საზღვრებიდან იწყება.

**მაკა სვიმონიშვილი**

## მსოფლიოს გარშემო

### პოზიცია ალჟირელი ფუნდამენტალისტი ტერორისტებისადმი

ირანის პრესაც და მთავრობის წარმომადგენლებიც გამოდიან მოთხოვნით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ზომები მიიღოს ალჟირში რელიგიურ ექსტრემისტთა ტერორის აღსაკვეთად, რომლებიც „უპრეცენდენტო დანაშაულებას" სჩადიან. ირანის ინგლისურენოვანი გაზეთები ერთიანნი არიან ფუნდამენტალისტური ტერორის დაგმობაში. „ირან ნიუსი" მოითხოვს ირანის მთავრობის შეკრებას და მის მიერ „ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში" დელეგაციის გაგზავნას, რათა დაელაპარაკონ „ყველა მხარეს" გონივრული პოზიციის გამოსაძებნად. სხვა გაზეთები ალჟირის პრეზიდენტს ურჩევენ დიალოგს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, „ისლამს ხსნის ფრონტის" ჩათვლით. ეს „ფრონტი" სწორედ ის ორგანიზაცია გახლავთ, რომელმაც ტერორი გამოაცხადა და უკვე 60 ათასამდე მშვიდობიანი ადამიანი მოკლა კანონიერად ჩატარებული არჩევნების გაუქმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებშიც გამარჯვება ისლამის ძალებს ჰქონდათ მოპოვებული. ალჟირში ამჟამად სამი შეიარაღებული ძალა მოქმედებს. ერთია ე. წ. ისლამისტი ტერორისტების ბანდები, რომლებსაც ეხმარება გარკვეული სამსახურები, მეორეა სამოქალაქო მილიცია, რომელსაც ხელისუფლება აიარაღებს, მესამეა ადგილობრივი ფეოდალური კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებსაც სისხლის აღების კანონები მართავს. პოლარიზაცია მათ შორის უფრო და უფრო ძლიერდება.

### რომის პაპი პეტრარქას ლექსებს იმოწმებს

ვატიკანში იტალიის ახალი ელჩის ალბერტო ბარტოლის მიღებისას პაპმა იოანე პავლე II-მ თავისი სიტყვა დაიწყო პეტრარკას ლექსით, სადაც პოეტი აქებს იტალიას — „მშვენიერ ქვეყანას, აპენინის მთაგრეხილით გაკვეთილს, ზღვითა და ალპებით შემოსაზღვრულს". დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ეს პოეტური აღწერა იტალიის დღევანდელ საზღვრებს ემთხვევა და ამგვარად პაპის სიტყვები გადაკრული პოლემიკა იყო უმბერტო ბოსის წინააღმდეგ, რომელიც იტალიისაგან „ჩრდილოეთის ოლქის" მოწყვეტას ლამობს. პაპმა აგრეთვე დაიჩივლა იტალიაში დაბალი შობადობის გამო, რომელიც ერთ-ერთი მინიმალურია დღეს მსოფლიოში, რადგან ეს „ფრიად აზარალებს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას". მან აგრეთვე მოუწოდა ხელისუფლებას და პარტიებს, ახალგაზრდობისათვის სამუშაო ადგილებზე იზრუნონ.

### ინდონეზიასაც ტერიტორიას ეცილებიან

განთქმული აფრიკელი ლიდერი ნელსონ მანდელა თვლის, რომ ინდონეზიას უნდა ჩამოეჭრას ტიმორი და მოწოდებით მიმართავს ინდონეზიის პრეზიდენტ სუჰარტოს, რომ ამ ტერიტორიას ამ ეტაპზე ავტონომია მიეცეს. ეს მან თქვა აღმოსავლეთ ტიმორის სეპარატისტ ლიდერთან, კათოლიკე ეპისკოპოს კარლოს ბელოსთან შეხვედრის მეორე დღეს. ეპისკოპოსი მანდელასთან ერთად დაჯილდოებულია ნობელის პრემიით მშვიდობის დაცვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დისკუსია

## ეროვნული უმცირესობანი: „მეგობრობის დღეები“ თუ პრობლემის შესწავლა?

ამ ცოტა ხნის წინ ერთ სატელევიზიო დისკუსიაში შემომთავაზეს მონაწილეობის მიღება. თემა საქართველოს ეროვნული უმცირესობა იყო. პრობლემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს და მონაწილეობაზე დავთანხმდი. როგორც გადაცემისას გაირკვა, მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორნიც არიან ბატონები: ნოდარ ნათაძე, კობა იმედაშვილი, იგორ ბოგომოლოვი, მამუკა არეშიძე, გურამ ბერიშვილი. დისკუსია ძირითადად წამყვანსა და ორ-სამ პიროვნებას შორის გაიმართა, თანაც წამყვანის ყოველი განწირული ცდა კონკრეტულ და პრაქტიკულად მწვავე მომენტებზე გაემახვილებინა აქცენტი, ზოგადად — გავრცობილ ფილოსოფიურ-თეორიულ განზოგადებებს აწყდებოდა. საბოლოო ჯამში, ვინაიდან არც ერთ პარლამენტში არ გამივლია მიკროფონზე ნადირობის კურსები, სასცენო სტატისტის როლს კი მიჩვეული არა ვარ, შუა ჩაწერის პროცესში მივატოვე დარბაზი (პირველად ტელევიზიასთან ურთიერთობის 25-წლიან პრაქტიკაში). მთავარი მაინც ეს არ არის; უფრო მეტად დამაფიქრა ჩვენი საზოგადოების არცთუ პასიური და ნამდვილად ინტელექტუალური წრეების ერთი ნაწილის დისტანცირებამ დღევანდელი რეალობისაგან.



ამ წერილის ავტორი საქართველოში ცნობილი პოლიტოლოგია, რომელსაც საზოგადოება კარგად გაეცნო უკანასკნელი ოცდაათიოდე წლის მანძილზე როგორც საერთაშორისო მიმომხილველს ტელევიზიით და პრესით. იმ უაღრესად მწვავე თემაზე, რომელსაც ავტორი ეხება, სხვადასხვა თვალსაზრისთა პუბლიკაციას მომავალშიც განვაგრძობთ.

*რედაქცია*

რასაკვირველია, არსებობს საერთაშორისო ნორმები, გაეროს პრინციპები, ერთა თვითგამორკვევა, კულტურული და „არაკულტურული“ ავტონომიები, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და სხვა უამრავი საერთაშორისო მეცნიერულ-თეორიულ-პრაქტიკული ნორმები, სადაც ვრცლად და დაწვრილებითაა „ინვენტარიზებული“ ეროვნულ უმცირესობათა ყველა უფლება. ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო ცდილობს სრულად დაიცვას საკუთარ ეროვნულ უმცირესობათა კანონიერი უფლებები, მაგრამ არც ერთ აქტსა და დეკლარაციას არ ძალუძს სრულად მოიცვას მსოფლიოს ორასამდე სახელმწიფოს განსაკუთრებულობა თუ ნიუანსი, ბოლომდე გაითვალისწინოს უთვალავი „სპეციფიური შემთხვევა“ თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა ფართო სპექტრი. მაძღარი და მშვიდი დასავლეთი საკუთარი სამრეკლოდან დანახული სურათით არჩევს მტყუანსა და მართალს. უფრო სწორედ კი მტყუანს. — როგორც ფეშენებელურ სუპერ-მარკეტში მყიდველია მუდამ მართალი, ასევე ყველგან და ყოველთვის ეროვნული უმცირესობაა მუდამ მართალი, მაშინაც კი, როდესაც იგი აშკარად მტყუანია.

ორივე ფეხით გაება გამსახურდიას რეჟიმი რუსეთის მიერ ოსტატურად დაგებულ ხაფანგში, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომია გააუქმა, მაგრამ ვინ გაიხსენა მაშინ, ან ვის ახსოვს დღეს ის მოვლენები, რომელიც წინ უსწრებდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ტრაგიკულ გადაწყვეტილებას? (ავტორის ამ შეფასებას ვერ დავეთანხმებით. ოკუპანტის მიერ საქართველოში უკანონოდ შექმნილი „ოსეთის“ გაუქმება მოვალეობა იყო ნებისმიერი ხელისუფლებისა საქართველოში, რომელსაც ამომრჩევლის კანონიერი მანდატი ექნებოდა. პირველი ასეთი ხელისუფლება ზ. გამსახურდიას ხელისუფლება აღმოჩნდა და მან ეს მოვალეობა მოიხადა (რედ. შენიშვნა).

მე კარგად მახსოვს ოს სეპარატისტთა იმდროინდელი ლიდერის, ალან ჩოჩიევის გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით, როდესაც მან მცხეთამდე მიიზომა „ისტორიული ალანის“ საზღვრები. დღეს ლაპარაკი მხოლოდ „ქართველების მიერ მოწყობილ გენოციდზეა“. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო — „დახურული საქმის“ ხელახალ გარჩევას არ ვაპირებ. არც გამსახურდიას გამართლებისათვის ვიხსენებ მწარე წარსულს და არც ჩოჩიევის გასამტყუნებლად. ერთმაცა და მეორემაც საბოლოო ჯამში საკუთარი ხალხი გაამწარა შეგნებულად თუ შეუგნებლად. კონკრეტულ მაგალითზე ზოგიერთი, ერთი შეხედვით ჰიპოთეტური, თუმცა არცთუ ფანტასტური სცენარი მსურს წარმოვიდგინო; საქართველოში შექმნილი რეალობისა და არცთუ ურყევი მეგობრული გარემოცვის გათვალისწინებით, ადვილი თუ არა, „ძნელი“ შესაძლებელი ხომ მაინც არის, გარკვეულ სიტუაციაში, ეროვნული უმცირესობის თუნდაც ნაწილის გამოყენება „მეხუთე კოლონად?“ თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს ეროვნულმა უმცირესობამ სპეციფიურ სიტუაციაში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს უკრაინაში მცხოვრები რუსების ირგვლივ ატეხილი პროპაგანდისტული (ჯერ-ჯერობით პროპაგანდისტული აჟიოტაჟი) მოსკოვის იმპერიულ წრეებში. მაგალითად, „სნგ“-ს ქვეყნების მოსკოვის ინსტიტუტი (ერთობ გავლენიანი სამეცნიერო-პოლიტიკური დაწესებულება. ხელმძღვანელები: ზატულინი და მიგრანიანი) სპეციალურ განცხადებაში კრიტიკის ქარტეხილში ატარებს უკრაინის მთავრობის დადგენილების პროექტს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს წარმომქმნელ ერად უკრაინელები, ხოლო რუსები კი ეროვნულ უმცირესობად ცხადდებიან. ინსტიტუტი, რომლის თანამშრომლებიც უხვად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო დუმაში ექსპერტებისა და კონსულტანტების რანგში, დაურაზმაობასა და ორგანიზაციულ სისუსტეს უკიჟინებს უკრაინაში მცხოვრებ რუსებს და პრორუსული ორიენტაციისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ინსტიტუტის მესვეურებს ის გარემოება აწუხებთ პირველ რიგში, რომ უკრაინაში არ არსებობს „რუსული მოძრაობის პოლიტიკური მოტივები“ და რაც მთავარია „არ იგრძნობა „მოსკოვის ხელი“.

საერთაშორისო ურთიერთობათა ხუთი ათასწლიანი ისტორია სავსეა მაგალითებით, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული უმცირესობანი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ ქვეყანას, სადაც ცხოვრობდნენ და რომლის სრულფასოვან მოქალაქეებადაც ისინი თავს გრძნობდნენ. საქმეც ეს გახლავთ — გრძნობენ კი თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად, საკუთარ უფლებათა და მოვალეობათა სრული იდენტიფიცირებით ჩვენი ეროვნული უმცირესობანი? ერთობ საეჭვოა. რა უშლის ამას ხელს? საკმარისია თუ არა კულტურული ავტონომია რათა ეროვნულმა უმცირესობებმა სრულუფლებიან მოქალაქეებად იგრძნონ თავი? როდის და რა პირობებში შეიძლება „აღმოაჩინონ“ ეროვნულმა უმცირესობებმა, რომ კულტურული ავტონომია ველარ აკმაყოფილებს მათ ინტერესებს? დასაშვებია თუ არა ძალის გამოყენება ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ თუ მათი მზარდი პოლიტიკური ამბიციები საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მთავარ მზიდ კედელს — ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცეს? უსასრულოდ შეიძლება ასეთი „პროვოკაციული“ კითხვების გაგრძელება.

*გაგრძელება მე-7 გვერდზე*

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

*გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ № 27,28,29,30*

მოვიტანოთ ამონარიდი სსრკ კონსტიტუციიდან. დეკლარაცია სსრკ შექმნის შესახებ იუწყება შემდეგი ირონიას მიმსგავსებული სიტყვებით:

„საბჭოების რესპუბლიკების შექმნის დღიდან, მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები ორ ბანაკად გაიყვნენ: კაპიტალისტური ბანაკი და სოციალისტური ბანაკი. იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, უთანასწორობა და ერთაშორისი ზიზლია, კოლონიური მონობა და შოვინიზმი, იმპერიალისტური არაადამიანობა და ომებია.

აქ — სოციალისტურ ბანაკში — ურთიერთნდობა და მშვიდობაა, ერთა თავისუფლება და თანასწორობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება და ხალხთა ძმური თანამშრომლობა...“ და ა. შ.

საბჭოთა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში უნდა გამოვიდეს როგორც ერთიანი, ორგანიზებული — მთლიანი. საერთაშორისო ურთიერთობებს ამყარებენ მხოლოდ სსრკ-ს ორგანოები.

კავშირის გარე საზღვრების თაობაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ გარე საზღვრები ექვემდებარება კავშირის უმაღლეს ორგანოს, ამასთან ყოველგვარ დავებს, რომლებიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებს, განიხილავს მხოლოდ უმაღლესი საკავშირო ხელისუფლება.

ცალკეული სასაზღვრო ხელშეკრულებები მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არ შეიძლება დადებული იყოს საკავშირო ხელისუფლების სანქციის გარეშე, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში საკავშირო ხელისუფლება ნებას რთავს ცალკეულ რესპუბლიკებს ასეთი ხელშეკრულებების დადებაზე. საგარეო ვაჭრობის სფეროში დადგენილია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა უნდა წარმართოს მთელი საგარეო ვაჭრობა. კონცესიები შეიძლება გასცეს მხოლოდ საკავშირო ორგანოებმა, როგორც კავშირის სახელით, ასევე ცალკეული რესპუბლიკების სახელითაც, მაგრამ მხოლოდ საკავშირო ხელისუფლებისა და სსრკ-ს ჩარჩოებში. კონცესიის გამოყოფით მიღებული სარგებელი მიდის იმ რესპუბლიკის ანგარიშზე, რომლის ტერიტორიაზეც არის გამოყოფილი კონცესია. საკავშირო ხელისუფლება განაგებს რკინიგზას, ფოსტას, ტელეგრაფს, არმიას. საკავშირო ხელისუფლებას და მხოლოდ მას აქვს უფლება დააწესოს გადასახადები. მთელი კავშირისათვის ერთიანი ფულადი სისტემა არსებობს. სადაო საკითხები ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განიხილება საკავშირო ორგანოების მიერ.



პოლონეთში მომსახურე ქართველი ოფიცრები

საკავშირო ყრილობაზე დელეგატებს აირჩევენ საბჭოების საოლქო ყრილობებზე. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თაობაზე, ცაკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკავშირო ცაკ-ი შეიქმნება კავშირების საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან, ამასთან კავშირების საბჭოს აირჩევენ კავშირების საბჭოს ყრილობაზე პროპორციული წესით ყოველი რესპუბლიკიდან, ხოლო ეროვნებათა საბჭოს — ავტონომიურ რესპუბლიკათა წარმომადგენლობითობების პრინციპით: 5 დელეგატი თვითოეულიდან და ერთი წარმომადგენელი ავტონომიური ოლქიდან. ეროვნებათა საბჭოს ამტკიცებს კავშირების საბჭოს ყრილობა. ორივე საბჭო ჰქმნის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ირჩევს ცაკ-ის პრეზიდიუმს და სოვნარკომს (კომისართა საბჭოს). ორივე საბჭო ურთიერთთანასწორია. კავშირების ცაკ-ის პრეზიდიუმი 21 წევრის შემადგენლობით საბჭოების სესიებს შორის პერიოდში არის კავშირის უმაღლესი ორგანო. რესპუბლიკების კავშირი ფლობს ერთიან წითელი ფერის დროშას სახელმწიფო გერბით და ექვს ენაზე შესრულებული წარწერით: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით.“ სახელმწიფო გერბია ნამგალი და უРო დედამიწის სფეროს ფონზე.

ახლა გადავიდეთ სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი მესამე შემადგენელი ელემენტის — უმაღლესი ხელისუფლების განხილვაზე.

როდესაც ვდგავართ განუყოფელი სუვერენობის პოზიციაზე, ვხედავთ, აქამდე ისტორიაში არარსებულ ფაქტს, რომ საქართველოს სახელმწიფოს წართმეული აღმოაჩნდა ე. წ. შინაგანი დაუმორჩილებლობა ე. ი. მთავრობა იმის შედეგად, რომ იმყოფება ემიგრაციაში, დაკარგა თავისი ხელისუფლების ატრიბუტები, რაც სრულიად არ ნიშნავს, რომ მთავრობას სრულიად არ გააჩნია გავლენა თავის ხალხზე ანდა ხალხმა უარყო ხელისუფლების ავტორიტეტი; მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო მთავრობის თანამშრომლობა ხალხთან არ ატარებს ღია ხასიათს, არამედ კონსპირაციულია. რაც შეეხება „შინაგან დაუმორჩილებლობას“ უმაღლესი ხელისუფლებისა, საქართველოს მთავრობამ შეინარჩუნა შესაძლებლობა გარედან თავისი ნების გამოხატვისა და გააჩნია ამისათვის შესაბამისი ორგანოები, როდესაც ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს და აუცილებელი აღმოჩნდა მთავრობის ემიგრაცია, პარლამენტმა 1921 წლის 15 მარტს მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც მთავრობას მიანიჭა ყოველგვარი საქმიანობის უფლება, რომლებიც კი მიმართული იქნებოდა დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებისაკენ. საქართველოს მთავრობას პარიზში ჰყავს თავისი დელეგაცია სრულუფლებიან მინისტრთან ერთად, რომელიც აკრედიტირებულია საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან. დელეგაცია ფლობს თავის შენობას და სარგებლობს ექსტერიტორიული პრინციპით. საქართველოს დელეგაციისათვის ექსტერიტორიული უფლების მინიჭება იმის მტკიცების საფუძველს გვაძლევს, რომ საფრანგეთი კვლავაც ცნობს საქართველოს სახელმწიფოს არსებობას. დელეგაციის წევრები სარგებლობენ ყველა იმ პრივილეგიებით, რომლებიც ეძლევათ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთ. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები მუდმივად მოიხსენიებიან დიპლომატიური კორპუსის წევრთა სიაში, ისინი ყოველთვის ესწრებიან პრეზიდენტის მიერ დიპლომატების მიღების ცერემონიალს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებას სსრკ-ს წარმომადგენელიც ესწრება.

*გაგრძელება მე-7 გვერდზე*

## მსოფლიოს გარშემო

### ხიდი აზიიდან აფრიკაში

დაკიდებული ხიდის მშენებლობაზე დიდი ხანია წარმოებს მოლაპარაკება ეგვიპტესა და იაპონიას შორის. აგვისტოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. ხიდი გადაკვეთს სუეცის არხს დაახლოებით 70 მეტრის სიმაღლეზე და დააკავშირებს სინაის ნახევარკუნძულს ეგვიპტის აფრიკულ ნაწილთან. მისი აგება დაჯდება დაახლოებით 100 მილიონი დოლარი. იაპონიის წვლილი იქნება 65 მილიონი. ყველა გათვლა და კვლევა ჩატარებულია იაპონური მხარის მიერ. ხიდზე გაივლის რკინიგზის ლიანდაგიც და ავტოშარაგზაც. ეგვიპტე გეგმავს სინაის იმ ნაწილში, რომელიც მას ეკუთვნის, მიიყვანოს წყალი და აითვისოს 500 ათასი აკრი ტერიტორია, აგრეთვე ჩინეთის დახმარებით შექმნას ინდუსტრიული ზოლი არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

### რუსეთის ჩრდილო ტერიტორიებს ხიფათი ელის

რუსეთის შორეული ჩრდილოეთის მოსახლეობის 50% გახიზნულია ამ რეგიონიდან, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ინტერვიუებში მოწმობს, მის დიდ. ნაწილს, ეს მხარე უყვარს. მთავარ მიზეზად ასახელებენ ხელფასების სისტემატურ დაგვიანებას. მეცნიერებათა აკადემიის არქტიკის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელის პავლენკოს სიტყვით, შორეულ ჩრდილოეთში დაავადება 40%-ით სჭარბობს რუსეთის საშუალო დონეს. ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების, მაგალითად, ჩუქჩების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 40-45 წელიწადზე დავიდა. ჩრდილოეთის სანაოსნო გზის ჩაკვდომამ დააზარალა ინფრასტრუქტურა. 1 კგ საკვების მიტანა ამ ზონაში ჯდება 17000 მანეთი (დენომინაციამდე). უკანასკნელი რეფორმის შემდეგ ხომ კერძო ბანკებმა ოქროს მოპოვების საქმეში შეაღწიეს, ისინი ისე უწევენ ექსპლოატაციას ოქროს მთხრელებს, როგორც მონებს.

### საკვების ბაქტერიამ ბავშვები დაავადა

ბაქტერიები დღემდე უცნობმა დიდად ტოქსიკურმა ნაირსახეობამ გამოიწვია ბავშვების მასობრივი დაავადება ავსტრალიაში. მან გამოიწვია თირკმელების უკმარისობა და პაციენტები დიალიზის აუცილებლობამდე მიიყვანა.

### იაპონია ეხმარება თურქმენისტანს

იაპონიის უცხოეთისადმი ეკონომიკური დახმარების ფონდი თურქმენისტანს ასესხებს 39 მილიონ დოლარს რკინიგზის ქსელის განსაახლებლად, გადახალისდება აშხაბადის დეპოც, რომელიც ეწევა ტრანსპორტის სისტემის კომპიუტერიზაციას.

### უკრაინა-ირანის ვაჭრობა

მან მიაღწია მილიარდ დოლარის მოცულობას წელიწადში, უკრაინის ელჩმა ირანში ბატონმა ბუტიაგამ განაცხადა: „ირან-ნიუსისადმი“ ინტერვიუში, რომ უკრაინა ირანისათვის „ფანჯარაა ევროპისაკენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

*მე-6 გვერდიდან*

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ დე ფაქტო მთავრობას წარმოადგენს ოკუპანტი, სამაგიეროდ დე იურე მთავრობად დარჩა საქართველოს სამართლებრივი მთავრობა და რომ საქართველო ფლობს რა საგარეო დაწესებულებებს, კვლავაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

ახლა გადავიდეთ საქართველოს მთავრობის ურთიერთობებზე სსრკ-სთან, ისევე როგორც მის ურთიერთობებზე ევროპულ სახელმწიფოებთან.

საქართველოს მთავრობა ძალადობას, რომელიც იხმარეს საქართველოზე, არ სცნობს და ამ აზრით იგი წარმომადგენელია მთელი ხალხის თვალსაზრისისა, ხოლო ეს თვალსაზრისი კი ნათლად იყო გამოხატული მრავალი აჯანყებით 1924 წლის აჯანყების მეთაურობით. ეს მთავრობა, ეყრდნობა რა სსრკ კონსტიტუციის მე-4 პარაგრაფს, რომელიც ადგენს, რომ „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს უფლება თავისუფალი გამოსვლისა კავშირიდან, წინადადებას აყენებს ჩატარდეს რეფერენდუმი და თუ მოსახლეობის 1/3 რუსეთის სასარგებლოდ მისცემს ხმას, საქართველოს მთავრობა ხელს აიღებს თავისი ქვეყნის განთავისუფლების მცდელობიდან.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას ამგვარი წინადადება არ მიუღია.

თუ საბჭოთა მთავრობა უგულვებელყოფს საერთაშორისო ვალდებულებებს, რისი მაგალითებიც უკვე მრავლად იყო, იგი მით უმეტეს ყრუა ყოველგვარი დიპლომატიური ჩარევისა თუ სამართლებრივი არგუმენტებისა საქართველოს საკითხში და მას თავისი ნებით არ გაუშვებს ხელიდან.

თუ იგი დაკარგავს უფლებას საქართველოზე, მაშინ საბჭოები, თუნდაც რომ შეინარჩუნონ ბაქო, დაკარგავენ გზას და საშუალებას ნავთობის ექსპორტირებისას, კონცესიის ერთ-ერთ წყაროს, რომელსაც მათთვის უდიდესი სარგებელი მოაქვს და ასევე ჭიათურის მანგანუმის მინდვრების ექსპლუატაციის შესაძლებლობას.

ერთი სიტყვით, საბჭოები მიდიან რუს მეფეთა მიერ გაკვალული გზით, რომელიც მათ ძალადობისა და სამართლის დარღვევის საშუალებას აძლევს, რაც ამავე დროს ხელს არ უშლის მას ისროლონ უაღრესად ამაღლებული ლოზუნგები ძმობისა და თანასწორობის შესახებ.



ქართულ ემიგრაციას პოლონეთში ი. პილსუდსკის საფლავზე მიაქვს ქართული მიწა (1935 წ.)

ვიდრე შევუდგებოდეთ ცალკეული სახელმწიფოების ურთიერთობების გარკვევას სსრკ-ს მიმართ, გვსურს მანამდე აღვნიშნოთ მათი არათანმიმდევრული საქციელი. ზოგიერთ მათგანი ერთის მხრივ სცნობს სსრკ-ს დე იურედ, და ამით ალიარებს იმ ძალადობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, მხარს უჭერენ ქართულ ემიგრაციულ ორგანიზაციებს და აძლევს მათ გარკვეულ უფლებებს, რომელიც აჭარბებს ამ ორგანიზაციების, როგორც ასეთის, მოქმედების საზღვრებს და ამით ისინი საქართველოს საქმეს გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე მხოლოდ ემიგრაციულ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ არ აძლევენ აკრედიტაციას ქართულ დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობას, მას მაინც სცნობენ როგორც საქართველოს მთავრობის არაოფიციალურ წარმომადგენლობას.

ამ შენიშვნების შემდეგ შევჩერდებით ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ურთიერთობებზე სსრკ-სთან.

ევროპული სახელმწიფოებიდან პოლონეთი პირველი შეიქმნა იძულებული შესულიყო რსფსრ-სთან სამართლებრივ ურთიერთობებში; ეს მოხდა გადატანილი ომის შედეგად, რომელიც პოლონეთის გამარჯვებით დასრულდა და დაიდო რიგის ტრაქტატი. პოლონეთ-რუსეთის ომის დროს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. პოლონეთი და საქართველო ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არიან განწყობილნი, თუმცა ისიც მართალია, რომ მათ შორის არ ყოფილა კონკრეტული ტრაქტატი მეგობრობისა, მაგრამ რუსეთის მორჩილებაში ერთად ყოფნა იყო ამ მეგობრობის საფუძველი. და მართლაც, საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს დაკავების შემდეგ, საკანონმდებლო სეიმმა 1921 წ. ერთხმად გამოხატა თავისი პროტესტი ამ ფაქტის წინააღმდეგ. 1923 წ. სსრკ-ს წარმოშობის შემდეგ, რომელმაც მიიღო ყველა ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობდნენ რიგის ტრაქტატიდან, და როდესაც საბჭოთა მთავრობამ პოლონეთს შეატყობინა ამ ფაქტის შესახებ, პოლონეთის მთავრობამ ეს ფაქტი მიიღო ცნობად ყოველგვარი შენიშვნის გამოხატვის გარეშე, მიუხედავად პოლონეთში არსებული ქართველთა კომიტეტის თხოვნისა და საპროტესტო წერილებისა ყველა მიმართულების გაზეთებში. ამ ნოტის მიღება შენიშვნის გარეშე შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც საქართველოზე ძალადობის აქტისა და მისი სსრკ-სადმი შეერთების მდუმარედ მიღება. და თუმცა პოლონეთს შეეძლო, შესაბამისად გამოეყენებინა რიგის ხელშეკრულების მოთხოვნები და ეცნო საბჭოთა ძალაუფლება ყოფილ რსფსრ-ის ტერიტორიაზე, იმავდროულად საქართველო მიეჩნია დე იურედ სუვერენულად, თუმცა ფაქტიურად ოკუპირებულად საბჭოების მიერ.

**პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა**

*დასასრული მომდევნო ნომერში*

## დისკუსია

# ეროვნული უმცირესობანი: „მეგობრობის დღეები" თუ პრობლემის შესწავლა?

*მე-6 გვერდიდან*

ბუნებრივია, რომ მსოფლიოს ყველა ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობის ეტალონი მშობლიური ენაა. როგორც წესი, სწორედ ენის დაკარგვით იწყება დეგრადირებისა და ტოტალური ასიმილაციის საშიში პროცესი. ამიტომაც არის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში მაქსიმალურად ყველა პირობებია შექმნილი ეროვნულ უმცირესობათა მშობლიური ენების გადარჩენისა და განვითარებისათვის. მეორეს მხრივ, თვით ეროვნულ უმცირესობათა სასიცოცხლო ინტერესებშია სახელმწიფო ენის სრულყოფილად (სწორედ სრულყოფილად და არა საყველპუროდ) ცოდნა. ლოლიკა რამდენადაც მარტივია, იმდენად მკაცრია; სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნის გარეშე ეროვნული უმცირესობის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენლებიც კი თვითონ იკვეთენ გზას ქვეყნის შემოქმედებით, სამეცნიერო თუ პოლიტიკური ელიტისაკენ. დროთა მსვლელობაში ისინი თანდათანობით, მაგრამ განუხრელად ახდენენ „არაპრესტიჟულ", „მეორეხარისხოვან" პროფესიათა პრივატიზირებას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ მშობლიური ენის დაკნინებას ისეთი პროფესიის წარმომადგენელნიც უწყობენ ხელს, როგორიც მწერლობაა. მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს მაგალითად სუახილზე და ბანტუზე, მაგრამ მშობლიურ ენაზე ერთი პატარა მოთხრობაც არ დაუწერიათ პიტერ აბრაჰამსს, ალექს ლა-გემას, ადენიკუ აჩიბეს და კიდევ სხვა მრავალ, მსოფლიოში ცნობილ აფრიკელ მწერალს. ინგლისურ ენაზე შექმნილმა რომანებმა მოუტანა მათ პრესტიჟული პრემიები და მსოფლიო აღიარება. რაღა შორს მივდივართ მაგალითის საძებნელად — რუსულენოვან მწერლად იცნობს მთელი მსოფლიო ჩინგიზ აიტმატოვს. ეს ისე, რეალური ფაქტის სახით, თორემ ასეთი მაგალითებით სულაც არ მსურს იმის მტკიცება, რომ არსებობს „მომგებიანი" და „წამგებიანი" ენები. უფრო მნიშვნელოვანია რეალური ფაქტორი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ალტერნატივის წინაშე აყენებს — ან მშობლიურ ენასთან ერთად სრულყოფილად უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას, ან გარიყულნი უნდა დარჩნენ ქვეყნის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან. არის კიდევ ერთი, სახელმწიფო ინტერესებისათვის არასასურველი (მეტი რომ არ ვთქვა) ვარიანტი — ეროვნულ უმცირესობათათვის ფაქტიურ მშობლიურ თუ არა, საკომუნიკაციო ენად იქცევა სხვა სახელმწიფოს (როგორც წესი დიდი მეზობლის) ენა. გასული წლის თებერვალში გაზეთმა „პრავდამ" ჩვეულებრივ პროვოკაციული ანტიქართული წერილი გამოაქვეყნა ახალქალაქის რუსულ სკოლაზე, რომელიც რუსი სამხედროების ბავშვებმა მიატოვეს (სამხედროებს ცალკე გაუხსნიათ თავიანთთვის სკოლა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე) და „უპატრონოდ" დარჩენილი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილა. სკოლის დირექტორის, გ. კარაპეტოვას გულისტკივილს ის იწვევს, რომ ადრე მისი ყველა მოსწავლისათვის „რუსული იყო მშობლიური ენა", ახლა კი ვითარება შეიძლება შეიცვალოს. ლოლიკურია, რომ „მშობლიურ რუსულენოვან" სკოლადამთავრებულები, სადაც სახელმწიფო ენას ან საერთოდ არ ასწავლიან, ან ფორმალურად ერთი-ორი საათი აქვს გამოყოფილი, ძნელად თუ შესძლებენ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

რუსეთის პროიმპერიული პრესა დღეს ცოფებს ყრის იმის გამო, რომ ფედერაციის სუბიექტთა დიდმა უმრავლესობამ ენობრივი ცენზი დააკანონა მაღალი სახელმწიფო პოსტის მაძიებელთათვის. კერძოდ, პრეზიდენტები აუცილებლად უნდა ფლობდნენ როგორც რუსულს, ასევე ტიტულურ — „ეროვნულ" ენას. ცენტრმა საკონსტიტუციო სამართალშიც კი უჩივლა ბაშკირსტანს, რომლის კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი და კანონი პრეზიდენტის შესახებ, კატეგორიულად მოითხოვს პრეზიდენტობის კანდიდატებისაგან გარდა რუსულისა, ბაშკირული ენის ფლობას.

ზემოხსენებულ ჭრილში კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა ისედაც ცხადია, რომ მშობლიური და სახელმწიფო ენის თანაბრად ცოდნის გარეშე, ეროვნული უმცირესობა ვერასოდეს იგრძნობს თავს ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხელისუფლება, ან რომელიმე პოლიტიკური პარტია ტრადიციული კომუნისტური პრინციპით „უზრუნველყოფს" ეროვნულ უმცირესობათა „აუცილებელ" პროპაგანდისტულ წარმომადგენლობას ხელისუფლების მაღალ ორგანოებში, ეს უნიჭო და კომიკური ფარსის ფორმას ღებულობს. დღესაც ღიმილით ვიხსენებ წინა პარლამენტის ერთ ჩვენ რუსულენოვან ცნობილ ჟურნალისტ — დეპუტატს, რომელმაც ასე გაატარა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამი წელი, რომ ალბათ სამი სიტყვაც არ უთქვამს.

კიდევ ერთხელ უნდა დავიზღვიოთ თავი დემაგოგიური შემოტევებისაგან — არავითარ შემთხვევაში არა ვარ, ვთქვათ, საარჩევნო კანონში რაიმე დამატებითი შეზღუდვების მომხრე, მაგრამ ისევ და ისევ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებიდანაც გამომდინარე, იმის პრინციპული მომხრე ვარ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს რეალური სტიმული გაუჩნდეთ ქართული ენის შესწავლისათვის. თვით აშშ-შიც კი მხოლოდ 1965 წლის 6 აგვისტოს გაუქმდა ამომრჩეველთა შემოწმება განათლებაზე (განათლების ცენზი), მაგრამ როდესაც პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი კაპიტოლიუმში, აბრაამ ლინკოლნის ბიუსტის ფონზე გამოდიოდა ახალი საარჩევნო კანონის ხელმოწერის ცერემონიალზე, პირველი რაც დაბეჯითებით ურჩია ახალ ამომრჩევლებს, იყო „საკუთარი განათლების ამაღლება".

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვეულებრივი და თითქოს კანონზომიერი მოვლენა იყო ეროვნულ უმცირესობათა ლტოლვა რუსული სკოლებისაკენ. ეს მათ მომავალში რუსეთის (პირველ რიგში მოსკოვის) პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლების კარებს უხსნიდა (ყოველ შემთხვევაში ამის თეორიულ შანსს აძლევდა) შემდგომი კარიერით. საქართველოში ასეთ პერსპექტივას ჯერ ვერ ხედავენ, რაზეც ნაწილობრივ ხელისუფლებასაც მიუძღვის ბრალი. მომავალში სერიოზულ გართულებათა თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დადგინდეს არაქართულ სკოლებში ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის სწავლების ეფექტურობის ზრდა. ფაქტია, რომ ყოველივე ეს სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც დღეს არ გააჩნია განათლების სისტემას, მაგრამ სახელმწიფოს შეიძლება ასჯერ უფრო ძვირად დაუჯდეს ამ სფეროში ხელმომჭირნეობა.

დასასრულს, თუ ჩვენ მართლაც გვსურს, რომ ახლო მომავალში საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმრავლესობებმა ქვეყნის სრულფასოვან და სრულუფლებიან (აქედან გამომდინარე კი სრულვალდებულებიან) მოქალაქეებად იგრძნონ თავი, არ უნდა მოვერიდოთ ყოველი, თუნდაც ერთის შეხედვით უმნიშვნელო რეციდივის ღრმა ანალიზსა და დასკვნებს. ყველგან და ყველაფერში „მოსკოვის ხელის" აბსოლუტიზირება ჩვენი ანალიტიკური აზროვნების სიმწირეზეც მეტყველებს. უკანასკნელი კი თავის მხრივ ქრონიკულ დეფიციტად დარჩება მანამდის, სანამ მასზე სახელმწიფო მოთხოვნილება არ გაჩნდება.

რაც შეეხება ტელე-დისკუსიებს, თუ მათ პროფესიულ დონეზე მოამზადებენ, მას შეუძლია ფართო საზოგადოებრიობის (ეგებ ხელისუფლებისაც) ყურადღების გამახვილება რეალურად არსებულ სერიოზულ პრობლემაზე. არც ეს არის პატარა საქმე.

**სოსო ცინცაძე**
*დიპლომატიური აკადემიის რექტორი*

# ნუ ვიქნებით ენთუზიასტის იმედით!

უჭირს საქართველოს. სიდუხჭირე სუფევს ყველგან. სკოლასაც უჭირს, საფრთხეშია სწავლა-განათლების საქმე. მასწავლებლები თავიანთ საცოდავ ხელფასსაც ვერ იღებენ დროულად. ზოგან გაფიცულან, ზოგან გაფიცვას აპირებენ. უმაღლესი განათლების საქმე უარესადაა: დილიდანვე სტუდენტებითაა სავსე უნივერსიტეტის (რომლის? — ერთადერთი რომ იყო წინათ) ეზო. დიახ, ეზო და არა აუდიტორიები...

ეს რომ ვიცი, მით უფრო გამახარა ერთმა ფაქტმა, რომელსაც ამასწინათ შევესწარი. ვანის რაიონის სოფელ სალხინოში სააღდგომოდ ბებიას ესტუმრნენ შვილიშვილები — გვანცა და გიორგი ბუხრაშვილები. ისინი თბილისის 191-ე სკოლის (დირექტორი გია კაშია) მოსწავლეები არიან. გვანცა მესამე კლასში სწავლობს, გიორგი — მეოთხეში. ერთ საღამოს დედამ სთხოვა ბავშვებს — აბა, ლექსები გვითხარითო. ცოტაოდენი განაზების შემდეგ გიორგიმ დაიწყო... „ყივჩაღის პაემანი." დაიწყო და ბოლომდე უშეცდომოდ ზეპირად თქვა ლექსი. თქვა მხატვრულად, გამომეტყველებით. ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, მურმან ლებანიძისა და ხალხური ლექსები, რევაზ ინანიშვილის პატარა მოთხრობები. საქმეში ჩაერთო გვანცაც. ერთ რამედ ღირდა იმის მოსმენა, თუ როგორ გაასცენიურა პატარა და-ძმამ „ვეფხვისა და მოყმის ბალადა", „თქვი არჯაკელო ხვიარა."

გამიკვირდა — საიდან იციან მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეებმა ეს ლექსები; მხატვრული კითხვის წრეში შეისწავლესო, — ამიხსნა დედამ. კიდევ უფრო გავოცდი: ახლა, როცა საბავშვო ბაღის ზოგი მასწავლებელი დაითხოვეს — ფული დაგვეზოგებაო, როცა მეათე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს სწავლების ქირას ახდევინებენ, როგორ ახერხებს 191-ე სკოლა მხატვრული კითხვის წრე დააარსოს და შეინახოს? გაირკვა, რომ ამ წრის ხელმძღვანელია სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის შვილი, სტუდენტი ნინო უგრეხელიძე, რომელიც საკუთარი ენთუზიაზმით მუშაობს ბავშვებთან. მისი ჯილდო ის არის, რომ მეოთხე კლასში ბავშვთა ორი მესამედი (რაღა თქმა უნდა, გიორგის ჩათვლით) ფრიადოსანია.

ნინოს კი ეკუთვნის მადლობა, მაგრამ სანამ უნდა ვიყოთ ენთუზიაზმის იმედით? ანდა სად ვიპოვოთ იმდენი ენთუზიასტი, რამდენიც მომავალი თაობის აღზრდასა და სწავლა-განათლებას ესაჭიროება?! ჰოდა, საჭიროა ხელისუფლება ღრმად ჩაუფიქრდეს ამ საკითხს, თორემ უსწავლელობის „სტაბილიზაცია" კარს მოგვადგომია.

**ვახტანგ პაიჭაძე**

## მსოფლიოს გარშემო

### ჩეჩნეთის ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ვალდებულებები გამოუშვა

ჩეჩნეთის ეროვნულმა ბანკმა ქვეყნის მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოუშვა პირველი შიდა სახელმწიფო ვალდებულებები 5 ათასი ამერიკული დოლარის მინიმალური ღირებულებით.

პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა, პარლამენტის სპიკერმა ალიხაჯიევმა და მუფტი ქადიროვმა რესპუბლიკის მოსახლეობას ჩეჩნეთის ეკონომიკის აღდგენის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების , შეძენისაკენ მოუწოდეს.

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ჩეჩნეთს ამ სამინისტროსათვის სახელმწიფო ვალდებულებების გამოშვების თხოვნით არ მიუმართავს. სამინისტროში ასევე აღნიშნეს, რომ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს უცხოურ ვალუტაში დომინირებული სახელმწიფო ვალდებულებების გამოშვება აკრძალული აქვთ.

### იმელდა მარკოსმა თავისი კანდიდატურა მოხსნა

ფილიპინების ყოფილი დიქტატორის ქვრივმა, იმელდა მარკოსმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. არჩევნები ფილიპინებში 11 მაისს უნდა გაიმართოს.

„მე წინასაარჩევნო კამპანიიდან გამოვდივარ, ვიდრე ქვეყანაში ძალადობის აფეთქება მოხდებოდეს, რადგან საარჩევნო კომიტეტი ხალხს არჩევნების ჩაშლისა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში უუნარობის შესახებ აფრთხილებს"- განაცხადა ცრემლმომდგარმა იმელდა მარკოსმა. ამ დღეებში საარჩევნო კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ ქვეყნის ზოგიერთ რაიონში ძალადობისა და ფალსიფიკაციის გამო არჩევნების შედეგები შესაძლოა ბათილად იქნას ცნობილი. იმელდა მარკოსის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მექრთამეობის ბრალდებით, მაგრამ ამან დიქტატორის ქვრივს ხელი არ შეუშალა არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. თუმცა, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადჰყო, იმელდა მარკოსის მიმართ „ხალხის სიყვარულის" მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება.

## ბრძოლა ეკო-მაფიასთან იტალიაში

იტალიაში ყოველწლიურად წარმოებული სამრეწველო ნარჩენების ნახევარს განაგებენ ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებები, რომლებიც არალეგალურად ყრიან ამ ნარჩენებს აკრძალულ ადგილებში დიდი თანხების ფასად.

ყოველწლიურად 28000-ზე მეტი სატვირთო მანქანით გადააქვთ დაახლოებით 13 მლნ ტონა სამრეწველო და ტოქსიკური ნარჩენი ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალიიდან ქვეყნის სამხრეთით უკანონო ნაგავ-საყრელებზე. ე. წ. ეკო-მაფია ნარჩენების არალეგალურ ბიზნესს ხელმძღვანელობს შუამავლების ფართო ქსელის მეშვეობით, რომელშიც ჩართული არიან პოლიტიკოსები, საკონტრაქტო და სატრანსპორტო ფირმები და



ნაგავსაყრელების პერსონალი. კრიმინალური ბიზნესი წელიწადში 3,5 მლრდ დოლარადაა (აშშ) შეფასებული. მწვანეთა პარტიიდან იტალიის პარლამენტის დეპუტატის განცხადებით, „ეს არის უზარმაზარი ბიზნესი ორგანიზებული დანაშაულისათვის. ფაქტობრივად დამნაშავე კლანები ნარკოტიკების გადაზიდვის ნაცვლად ეზიდებიან მავნე სამრეწველო ნარჩენებს. ეს ნაკლებ სარისკოა, მოგება კი უზარმაზარი მოაქვს".

1995 წელს გამოქვეყნებული ანგარიში ნარჩენების შესახებ იუწყება, რომ დამნაშავეები მოქმედებენ ძირითადად ორი მეთოდით. პირველი ვარიანტით, სანიტარული ნაგავსაყრელის უფროსი არა მარტო საქმის კურსშია კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ, არამედ აქტიურადაც მონაწილეობს მათთან ერთად. უფროსი გასცემს ყალბ ცნობას ტვირთის დამარხვის შესახებ, ნარჩენებს კი სადმე დააყრევინებს. შემდეგ საქმის ყველა თანამონაწილე წარადგენს დოკუმენტებს და მიიღებს ანაზღაურებას მუნიციპალიტეტისაგან ან კომპანიისაგან, რომელთაც ფირმებთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული ნარჩენების გატანასა და დამარხვაზე.

სხვა სცენარით, კონტრაქტორები აკეთებენ ისეთ ყალბ ქაღალდებს და ხელმოწერებს, რაც შეესაბამება ეკოლოგიური ფირმის მოთხოვნებს, სინამდვილეში კი ნარჩენებს ყრიან ნებისმიერ თხრილში ან ორმოში.

1990-95 წლებში სამხრეთ იტალიის ოლქების უმეტესობამ მიიღო კანონები, რომლებიც კრძალავს ნარჩენების გადაყრას სხვა ოლქში. მიუხედავად ამისა, სამრეწველო ნარჩენების მწარმოებელი ოლქები ყოველ ღონეს ხმარობენ იაფი გზებით ნარჩენების მოსაშორებლად. ძალზე ხშირად ეს ამოცანა მარტივად წყდება — ნარჩენები გადაეცემა „ერთდღიან" ფირმებს.

25 მლნ ტონა სამრეწველო ნარჩენიდან, რაც ყოველწლიურად იწარმოება იტალიაში, 3,5 მლნ ტონა მომწამლავად ითვლება. გარემოს დამცველები შიშობენ, რომ ტოქსიკური ნარჩენების არალეგალურ გადაყრას შეუქცევადი ზეგავლენა ექნება ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ნაგავსაყრელების მეზობლად მცხოვრებმა ადამიანებმა ხშირად არც იციან, იქ დაყრილი ნაგავით როგორ იწამლებიან. არც თუ იშვიათად, ტოქსიკურ ნარჩენებს ყიდიან, როგორც ქიმიურ სასუქს. ფერმერები გონს მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა ცხენების ნალები კოროზიას განიცდიან.

ქვეყანას პრობლემას უქმნის შესაფუთი მასალებიც, რომლებიც ყველა ნარჩენის საერთო მასის 35%-ს შეადგენს.

ხელისუფლება ეკო-მაფიასთან ბრძოლის ახალ ხერხებს მიმართავს. ნაციონალურ გვარდიაში შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფი მაფიასთან საბრძოლველად და ნარჩენების კონტროლის განსახორციელებლად. პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიამ პარლამენტში განსახილველად წარადგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნარჩენების რაოდენობის შემცირებას რეციკლიზაციის სტიმულირებით და შესაფუთი მასალების წარმოების მოცულობის 90%-ით შეზღუდვას.

**მასალა მოამზადა**
**რ. ღუნდუაშ**

## აგრარული პოლიტიკა

# საქართველოს სოფლის მეურნეობის საინჟინრო სერვისი ხელისუფლების ყურადღების მიღმაა დარჩენილი

საქართველო ტიპური აგრარული ქვეყანაა. რეფორმამდე ჩვენ თუ შედარებით შეძლებულად ვცხოვრობდით, ეს იყო ჩვენი სოფლის მეურნეობის სტრატეგიული დარგების: — მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობისა და მეთამბაქოობის წყალობით, რომლებსაც აქ 60-70 წლის წინ ჩაუყარეს საფუძველი ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა. სხვა მხრივ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ განებივრებული არც მდიდარი წიაღისეულებით, არც განვითარებული მრეწველობით, არც ვრცელი ტყეებითა და ველ-მინდვრებით. მანქანათმშენებლობიდან და სხვა სამრეწველო დარგებიდან შემოსავალი იყო მხოლოდ მეორეხარისხოვანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის საქმეში.

მანქანა-მოწყობილობები, საშენი მასალები, საწვავი, სათბობი, საკვები თუ ქსოვილები — ძირითადად ჩვენ შემოგვქონდა ჩვენი სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან მიღებული სასაქონლო პროდუქციის სანაცვლოდ და მისი წარმოებითა და გადამუშავებით იყო დაკავებული ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უმრავლესობა.

დღეს თუ ჩვენი ქვეყანა აქამდე არნახულ ეკონომიურ კრიზისს, უმუშევრობასა და შიმშილს განიცდის — ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ სტრატეგიული კულტურებით გაშენებული პლანტაციების მნიშვნელობის უგულვებელყოფის, მისი უპატრონოდ მიგდებისა და გაველანების შედეგია. ამრიგად ქვეყნის ეკონომიური კრიზისიდან გამოყვანა, ისევ სოფლის მეურნეობის აღორძინებით: ჩვენი, მსოფლიოში სახელგანთქმული ღვინოების, კონიაკების, ხილის, ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს წარმოებითა და რეალიზაციით თუ შეიძლება. სხვა რეალური გამოსავალი არ არსებობს.

გადარჩენის გასაღები ბაქოსა და ჯეიხანში ან მრავალრიცხოვანი ბანკების სეიფებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ჩვენი სტრატეგიული კულტურების პლანტაციებსა და მისგან მიღებული პროდუქციის გადასამუშავებელ ფაბრიკა-ქარხნებში.

სოფლის მეურნეობის რენტაბელური წარმოების ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს მისი საწარმოო პროცესების მექანიზაცია, ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენს. თუ უახლესი ტექნიკით ვიმუშავებთ, ერთ მექანიზატორს შეუძლია 100 მუშახელი გამოანთავისუფლოს სოფლის მეურნეობიდან, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, კულტურისა და მეცნიერების სფეროში სამუშაოდ.

ქვეყნის აგრარული პოლიტიკა, ეს ერთერთი ძირითადი ქვაკუთხედი დღეს ხელისუფლების ყურადღების მიღმაა დარჩენილი, ამ დარგს სოფლის მეურნეობაში მომხდარი რეფორმა არ შეხებია, დარჩა იგი ყოველგვარი რეორგანიზაციის გარეშე, უპატრონოდ და უყურადღებოდ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რეფორმის დასაწყისიდან ჩვენი სოფლისმეურნეობის პატრიოტი ხელმძღვანელი პირების, საქმეში ჩახედული მეცნიერებისა და სპეციალისტების შემართებით სასოფლო სამეურნეო ტექნიკა გაყიდვასა და „პრივატიზაციას" გადაურჩა. მართალია, ტექნიკის გარკვეული ნაწილი გაიძარცვა, მცირე ნაწილი მიტაცებული, გატანილი და გაყიდულ იქნა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი დარჩა ადგილზე, იმ პირების (ტრაქტორისტებისა და მექანიზატორების) ხელში, ვინც მას ამუშავებდა. რეფორმის პირველ (1991) წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას კარგად აღჭურვილ სარემონტო ბაზართან ერთად გააჩნდა 25 ათასი ტრაქტორი, 27 ათასი ავტომანქანა, 70 ათასზე მეტი სხვადასხვა სასოფლოსამეურნეო მანქანა-იარაღები, რაც საჭიროზე მნიშვნელოვნად მეტი იყო იმ 600-700 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესისა და უფრო ნაკლები სტრატეგიული მრავალწლიანი კულტურების ქვეშ დაკავებული ფართობებისათვის, რომელიც გააჩნდა რესპუბლიკას იმ დროისათვის ოფიციალური მონაცემებით.

ამ „მეტობამ" განაპირობა ის ფაქტი, რომ გეგმიური რემონტებისა და ტექმოვლების გარეშე ტექნიკამ დღემდე მოაღწია ისეთი რაოდენობით, რომ ფიზიკურად დღესაც შეუძლია შეასრულოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

1991 წლიდან ჩვენს სოფლის მეურნეობას არ მიუღია ტექნიკის გეგმიური შევსება, მაშინ როცა საქართველო ყოველწლიურად ღებულობდა 3 ათასამდე სხვადასხვა მარკის ტრაქტორს, 3,5 ათას ავტომანქანას, ათეული მილიონი მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრაქტორებისა და რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანების საამორტიზაციო ვადა 8-10 წელიწადს არ აღემატება, — ადვილი მისახვედრია, რომ სულ რაღაც 2-3 წლის შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდებით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწვავე დეფიციტის წინაშე.

რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში გავლენიანი პირები (თანაშემწეები, მრჩევლები) სოფლის მეურნეობას და მის საინჟინრო სამსახურს პრაქტიკულად არ იცნობენ და საკმარისად ვერ ერკვევიან.

სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც განხორციელდა ამ მიმართულებით, (სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება, საქსოფტექნიკის ფუნქციების გადმოტანა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში და სხვა) უსუსური არამუშაუნარიანი აღმოჩნდა იმ გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც დასვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სოფლის მეურნეობის წინაშე. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოცდენა ასე ხანგრძლივი დროით? სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება, კარგი რამეა ვთქვათ სამგზავრო და სატვირთოსატრანსპორტო ან სხვა მომგებიან საწარმოთა ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ სოფლის მეურნეობის საინჟინრო-მომსახურებისათვის, რომელიც ემსახურება გადახდისუუნარო წვრილ გლეხურ მეურნეობას, დადებით შედეგს ვერ მოიტანდა, რაზედაც ითქვა როგორც პრესაში, ისე ძველი პარლამენტის აგრარული კომისიისა და დღევანდელი პარლამენტის აგრარული კომიტეტის სპეციალურ სხდომებზე. მიუხედავად ამ კომიტეტის წევრებისა და დარგის ცნობილი სპეციალისტების ძალისხმევისა, ჩამოეყალიბებინათ სოფლად საინჟინრო მომსახურების პუნქტები კომერციულ საწყისებზე დადებითი შედეგები არ მოყვა.

როგორც ინფორმაციის წყაროებიდან ჩანს, დღეს ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის მესვეურები გამოსავალს ხედავენ სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. რამდენად გაამართლებს იგი კერძოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში? მოვიშველიოთ ფაქტები: უკვე მეორე წელია რუსეთში (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეში, ვოლგოგრადის ოლქში და სხვაგან) ფუნქციონირებს მსოფლიოში ცნობილი ჯონდირისა და კეისის ფირმების მექანიზებული პუნქტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ეს ფირმები მექანიზირებულად ატარებენ გლეხებისა და წვრილი ფერმერების ფართობებზე ხორბლის მოვლა-მოყვანისა და აღების ყველა სამუშაოს — მაღალ აგროტექნიკურ დონეზე (რასაც მათ ვერ წაართმევ). სადაც ადგილობრივი ტექნიკიდან განსხვავებით მოწონებას იმსახურებს სათესები და მოსავლის ამღები კომბაინები (რომლებიც მუშაობენ მინიმალური დანაკარგებით). ამ ფირმებს ყოველი ჰექტარიდან მიაქვთ 30 ცენტნერი ხორბალი (25 ცენტნერზე ნაკლები ვერ ფარავს გაწეულ ხარჯებს). ეს მომსახურება გამართლებულია ორივე მხარისათვის რადგან რუსი გლეხი (თუ ფერმერი) პრივატიზაციის შედეგად საშუალოდ ფლობს 17-20 ჰექტარ ფართობს, სადაც (ცნობილი შავმიწა ნიადაგების ზოლში) 40-45 ცენტნერი მოსავალი (იმ აგროტექნიკით რასაც ჯონდირისა და კეისის ფირმები ატარებენ) გარანტირებულია. ე. ი. მიწის მფლობელი ყოველგვარი ხარჯისა და შრომის გარეშე ღებულობს 20-30 ტონა ხორბალს, ხოლო ინვესტორი ასაქმებს (სამუშაოს აძლევს) თავისი ქვეყნის მშრომელებს — წიაღისეულის მოპოვებისა და მანქანათმშენებლობის დარგში მომუშავეებიდან ამ საინჟინრო მომსახურებაში მონაწილე პირებამდე, ადიდებს მისი ფირმისა და ქვეყნის გავლენის სფეროს, და ამასთან იღებს მოგებას 5 ცენტნერი ხორბალი ყოველი ჰექტარი ფართობიდან. ჩადებს უცხოელი ინვესტორი თავის კაპიტალს ჩვენი სოფლის მეურნეობის საინჟინრო მომსახურების დარგში? რა თქმა უნდა არა. რადგან (ვთქვათ ისევ ხორბლის წარმოებაში) ჩვენი მიწები (თუნდაც შირაქი იყოს იგი) 30 ცენტნერზე მეტს საშუალოდ ჰექტარიდან არც კი მოგვცემს, და რა უნდა მიიღოს ჩვენმა გლეხმა მისი 1 ჰექტარი ფართობიდან?

სხვა საქმეა ჩვენი სტრატეგიული კულტურების (ჩაი, ვენახი, ხილი) პლანტაციები, აქ კიდეც ჩადო თავისი კაპიტალი უცხოელმა ინვესტორმა — მარტინ ბაუერმა. რას აძლევს იგი გლეხს თუ ფერმერს? — 15-20 თეთრს ყოველ კილოგრამ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლში, რომელშიც ადრე სახელმწიფო კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას უხდიდა 1 მანეთს, (ეს უკანასკნელი კი მკრეფავს — 20 კაპიკს), (ხოლო კერძო ფართობიდან ჩაბარებულ ჩაიში — გლეხს — იმავე 1 მანეთს კილოგრამში).

ამრიგად, უცხოელ ინვესტორებზე ორიენტაციის აღება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში არ იქნება გამართლებული. არაა გამორიცხული ერთი და ორი მექანიზებული პუნქტის (თუ სადგურის) ჩამოყალიბება უცხოელი ინვესტორისაგან გავლენის სფეროს მოპოვების ან ტექნიკური დახმარების მიზნით, მაგრამ როგორც ნათქვამია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

არასამართლიანად მიმაჩნია ხელისუფლების მხრიდან სოფლის მეურნეობაში ჩაურევლობისა და დაურეგულირებლობის პოლიტიკა. ცნობილი ლოზუნგები: „მიეცი მიწა გლეხს და დანარჩენი თვითონ იცისო", ან „ჩვენ გლეხს მივანიჭეთ 'სრული თავისუფლება: როგორც უნდა დაამუშავოს მიწა და როგორც უნდა გაყიდოს პროდუქცია", ეს ქაოსია და სხვა არაფერი.

საკუთრების ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლის პერიოდში ასეთი „ჩარევა" და დარეგულირება აუცილებელია. ისეთი კლასიკური კაპიტალური ქვეყნები, როგორიცაა: აშშ, კანადა, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა, სწორედაც ერევა და არეგულირებს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მექანიზაციის საკითხებს. ასე მაგალითად, აშშ-ში სახელმწიფო რომელიმე მართვის საინტერესო სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებაზე ხელშეკრულებას უფორმებს ფერმერს და მისგან შეისყიდის პროდუქციას წინასწარ შეთანხმებულ ფასებში, თუნდაც საერთო ბაზარზე ნაკლები იყოს მისი ფასები. კანადაში, ფერმერს მიაყიდიან ძვირად ღირებულ მსხვილ ტექნიკას განვადებით (10 წლით) ყოველგვარი დანამატის გარეშე. რუსეთმა თავის ქარხნებს მისცა უპროცენტო კრედიტები, ხოლო მათ თავიანთ [illegible] ტექნიკა განვადებით (10 წლით) ასევე უპროცენტოდ. ამას სხვა ვერაფერს დაარქმევ, გარდა სახელმწიფო დარეგულირებისა. ჩვენ არა გვაქვს მატერიალური საშუალება გლეხებზე და ფერმერებზე ტექნიკის განვადებით მისაყიდად და ამას არცერთი ჭკუათმყოფელი არ მოითხოვს, მაგრამ ორგანიზაციული ხასიათის ჩარევა და საკითხის დარეგულირება აუცილებელია დიფერენცირებულად, ცალკეული რეგიონების, რაიონებისა და სოფლის თავისებურებათა გათვალისწინებით. ასე, მაგალითად მთის ზონის სოფლებისათვის, სადაც ერთი, ან ორი ტრაქტორი და მისი შლეიფი საკმარისია წარმოებისათვის, მისაღებია ის ფორმა, რაც დღეს გაგვაჩნია. (ტრაქტორისტზე მიმაგრებული ტექნიკით მომსახურება) ხოლო 5-6 ტრაქტორისა და მეტის შემთხვევაში აუცილებელია საინჟინრო მომსახურებისა და ტექნიკური მოვლის პუნქტების ჩამოყალიბება, თავისი სარემონტო საშუალებებით კომერციულ საწყისებზე, რაც პრაქტიკულად შესაძლებელია ყოველგვარი სახელმწიფო ხარჯების გარეშე, მხოლოდ იგი უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტულ, პროტექციულ საწარმოდ და გარკვეული ხნით განთავისუფლდეს ყოველგვარი დაბეგვრისაგან. ამ ღონისძიებას უნდა მიეცეს კომპანიის სახე. მის გაშუქებას უნდა დაეთმოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, რადიო, ტელევიზია). რაც გააადვილებს ადგილობრივი ინვესტორებისა და სპონსორის მონახვას. რამეთუ ჩვენ საკმარისად გვყავს „მილიონერები", რომლებიც უდანაკარგოდ მიიღებენ ამ საქველმოქმედო საქმეში ჩადებულ თანხას უახლოეს 2-3 წელიწადში. მომავალში ასეთი საინჟინრო მომსახურების პუნქტები (როცა ეს სისტემა ძალაში შევა) შეიძლება გაიყიდოს, არენდით გაიცეს და მასზე გავრცელდეს საბაზრო ეკონომიკის ნიუანსები.



Photo News

დღეს საქართველოში ფუნქციონირებს საზოგადოება „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კავშირი", რომელსაც სათავეში უდგას საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი და მტკიცე ხელის ორგანიზატორი. სასურველი იქნება ამ საზოგადოებამ ხელი მოკიდოს ამ საქმეს, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას.

**ილია კიკაბიძე**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრო-ტექნოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრავო! ბრავო! ბრავო! ბრავო!

# საოპერო მუსიკის დიდი ფესტივალი თბილისში

დღეს თბილისში ძცხოვრებ, თუ ძყოფ ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალისკენაა მიპყრობილი, მითუმეტეს, რომ ამ რანგის ფესტივალი საქართველოში პირველად ტარდება. ფესტივალი თბილისში უშუალოდ პაატა ბურჭულაძის ფონდის ეგიდით ტარდება და რვა დღეს გასტანს.

28 აპრილს ფესტივალმა პირველად ახსნა ფარდა და დაიწყო დღესასწაული, რომელშიც ჩაებნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საოპერო მუსიკის ვარსკვლავები.

ფესტივალი გაიხსნა ოპერით „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც კალუდი კალუ-



კალუდი კალუდოვი

დოვმა – ბულგარელმა ტენორმა, მირელა ფრენის, მარია კიარას, პაატა ბურჭულაძის, პლასიდო დომინგოს, ნიკოლაი გიაუროვის, ჯუდი ანდერსონის შესანიშნავმა პარტნიორმა, თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე აბესალომის პარტია ქართულ ენაზე შეასრულა. მას ამ ოპერაზე დღემდე ეტირება და როგორც თვითონ ამბობს: „ერს, რომელსაც ასეთი ოპერა აქვს, უფრო მეტი პოპულარიზაცია უნდა გაუკეთოს მას და უნდა იამაყოსო“. ეს მართლაც რომ დიდი დღესასწაული იყო... ბატონი თამაზ ჯაფარიძე, ერთ-ერთი ის ბედნიერთაგანია, რომელიც სადირიჟორო პულტიდან ამ შესანიშნავ ოპერას ხელმძღვანელობდა... არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო ოპერის „სანახაობითი“ მხარე, დეკორაციები, სცენის მორთულობა, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე და რომელიც დახვეწილი ესთეტიკური გემოვნების შედეგს წარმოადგენდა (ოპერა მიეძღვნა ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას).





ვლადიმერ სპივაკოვი

28-29 აპრილს ვლადიმერ სპივაკოვმა და „მოსკოველმა ვირტუოზებმა“ მართლაც რომ „სახვითი“ კონცერტები გაუმართა თბილისს. არ ვიცი, დაავიწყდება კი როდესმე დიდ მაესტროს ის განუზომელი სიყვარული, რაც მას საქართველოში მიუძღვნეს, როდესაც იგი ხელში ატაცებული მიაცილეს კონსერვატორიის სტუდენტებმა კონსერვატორიის კარამდე. 28 აპრილს სპივაკოვმა კონცერტი სპეციალურად კონსერვატორიის სტუდენტებისათვის გამართა. მაგრამ დარბაზის სიმცირის გამო ნაწილი სტუდენტებისა გარეთ დარჩა... სპივაკოვი, გარდა იმისა, რომ დიდი მაესტროა, მაღალკულტურული და ჰუმანური ადამიანია. მან ყველა გარეთ დარჩენილი სტუდენტი, ყოველგვარი ფულადი გადასახადის გარეშე, მეორე დღისთვის – 29 აპრილს თავის კონცერტზე მიიწვია და თავად გახდა მათი მასპინძელი ოპერის თეატრში, სადაც შესრულებული იქნა ჩაიკოვსკის „მოგონებანი ფლორენციაზე“ და ვივალდის – გლორია. ვლადიმერ სპივაკოვმა და მსოფლიოში ცნობილ პროფესიონალთა კამერულმა ორკესტრმა, რომელსაც „მოსკოველი ვირტუოზები“ თანამედროვეობის ამ უდიდესმა მევიოლინემ უწოდა, თავად მოუწყეს ნამდვილი გლორია დარბაზის სტუმრებს.



კატია რიჩარელი

შეძლო ასეთი დიდი სიყვარულის მოპოვება უცხო ხალხში, მიიღო ასეთი სითბო უცხო მსმენელისაგან, დიდ შემოქმედებით პოტენციასთან ერთად ღვთის მადლსაც მოიცავს. სპივაკოვის კონცერტიც ღვთის სადიდებელი იყო. როდესაც მან ალბინონის „ლოცვა“ შეასრულა გონება განცდასთან ერთად რეალურად შეეხო სამშვინველის ღრმა შრეებს. მან კონცერტი დაასრულა „გლორიის“ მეშვიდე ნაწილის – (DOMINE FILI UNIGENITE) შესრულებით. ხოლო თავისი მადლიერება და სიყვარული ქართველი ხალხის მიმართ, ყველაფრის დამტევი ქართული სიტყვით გამოხატა: „იბედნიერეთ!“

მე მაინც მგონია, რომ სპივაკოვის მიერ გამართულ კონცერტს თაფლის სურნელი დაჰყვებოდა. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როდესაც ჩვენს წინაშე გამოსხივდა ვლინება უფლის სიყვარულისა და თანადგომისა.



სტეფანია ტოჩიშკა

29 აპრილს გამართული კონცერტის შემდეგ თაფლის გემო და განცდა დამრჩა. მე მადლობელი ვარ უფლის!

30 აპრილს კი რიყეზე მოეწყო გალა კონცერტი, სადაც მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მსოფლიო ვარსკვლავები:

**სტეფანია ტოჩიშკა** (მეცოსოპრანო). მიუნხენის, ჰამბურგის, ბერლინის, ქოვენთ გარდენის, მეტროპოლიტენ ოპერის, სან ფრანცისკოს, ჩიკაგოს, პარიზის, ბუენოს აირესის და ვაშინგტონის საოპერო თეატრების „დაპყრობის“ შემდეგ „ბრავოს“ სტუმარია. სხვადასხვა დროს მას ლუჩანო პავაროტისთან და პლასიდო დომინგოსთან ერთად შესრულებული აქვს ამნერისი („აიდა“), საქართველოში კი მისი პარტნიორი ქრისტიან იოჰანსონი იქნება.

**რენატო ბრუზონი** – „ლა სკალამ“ წელს სეზონი „მაკბეტში“ მისი მონაწილეობით გახსნა.

მას შემდეგ, რაც მსმენელმა რენატო ბრუზონის სახით ფრანკო კორელის ღირსეული პარტნიორი აღმოაჩინა, დიდი დრო გავიდა.

ამის მიუხედავად, რენატოსთვის წარმატებას არასოდეს უღალატია მსოფლიოს საოპერო თეატრების სცენაზე. მომღერლის რეპერტუარი მოიცავს ვერდის, დონიცეტის, პუჩინისა და ჯორდანის ოპერათა წამყვან პარტიებს. „ბრავო“-ზე შესრულებული იაგო (ოტელო) და რიგოლეტო (რიგოლეტო) ფესტივალის ისტორიად დარჩება, რენატო ბრუზონის კი ეს ფესტივალი იმედია თავის პირველ დიდ ფლორენციულ წარმატებას გაახსენებს.

**ქრისტიან იოჰანსონი** – ქართველი პარტნიორებით გარშემორტყმული ისლანდიელი ტენორი, რომელიც განუმეორებელია ოტელოს, რუდოლფის, მანრიკოს, კუიჯის, რადამესის როლებში, დღეს თბილისის სტუმარია. დღეიდან მის უნიკალურ ალბომებს, რომელიც მოიცავს კენ რასელის მიერ დადგმულ „მადამ ბატერფლაის“, „არენა დი ვერონა“-ზე განხორციელებულ „აიდასა“ და „სოფლის პატიოსნებას“, არენა გადის – 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს პლასიდო დომინგოსთან, ლეო ნუჩისთან, მარია კიარასთან, ნეილ შოკოვთან ერთად, მის მიერ „ბრავო“-ზე შესრულებული პარტიებიც მიემატება.

**ალესანდრა მარკი** – საქართველოში უკვე ერთხელ ნამყოფი და მასზე შეყვარებული სოპრანო, კვლავ დიდი სიხარულით გვეწვია. ალესანდრას მიერ შესრულებული დებიუტები ბერლინის, რომის, ბავარიის, ჩიკაგოს, ქოვენთ გარდენის, დრეზდენის საოპერო თეატრების სცენებზე განხორციელდა. „ბრავოს“ ალესანდრა მარკმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებიუტი მიუძღვნა. თბილისში სახელგანთქმული სოპრანო პირველად შეასრულებს ტოსკას. ნებისმიერი საოპერო თეატრისათვის იქნებოდა სასურველი „აიდას“ ისეთი შემადგენლობით შესრულება, რომელსაც ავსებს ალესანდრა მარკის, პაატა ბურჭულაძის, ქრისტიან იოჰანსონის, სტეფანია ტოჩიშკას „თანავარსკვლავედი“.

**ანდრეა როსტი** – მას განმაიარაღებლად მომხიბლავი ადინას, ერთადერთ ვიოლეტას, რომელიც ღირსია ამ როლის, მსოფლიოს უდიდესი საოპერო თეატრების წამყვანი კოლორატურა უწოდეს. „ბრავო“-ში მონაწილეობის შემდეგ ანდრეა როსტის უახლოესი პროექტი რიკარდო მუტის დირიჟორობით შესრულებული პერგოლეზის „მესა“ იქნება.

**კატია რიჩარელი** – წლების მანძილზე ატყვევებდა და ატყვევებს მსოფლიოს, „ბრავო“-ზე 2 მაისს იგი სოლო კონცერტით წარსდგება.

**პაატა ბურჭულაძე** – ზოგი იტყვის, პაატა ბურჭულაძეს საგანგებო წარდგენა არ სჭირდებაო საქართველოში. როგორ არ სჭირდება. საგანგებოდ ჯერ საკუთარმა ქვეყანამ უნდა წარგადგინოს და მერე უცხოეთმა. ჩვენში კი ეს რატომღაც პირიქით ხდება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც აქ, ჩვენთან, საქართველოში სახელმწიფოსგან დაუცველნი არიან, გადიან საზღვარგარეთ და იმ სამყაროში, სადაც თავზე ხელს არავინ არ გისმევს, საკუთარი ნიჭის ხარჯზე აღწევენ საკუთარი შემოქმედებითი ძალის გამოვლინებას, რაც დიდი ნერვების ფასად ჯდება და ასე მოპოვებულ წარმატებას, რასაკვირველია, ვერცერთი შემოქმედი დაუგდებს „საჯიჯგნად“ იმ ადამიანებს, ვისთვისაც ხელოვნება მეორე და მესამე ხარისხოვანია, – ანდა სულაც არ ესმის. არადა საქართველო თუ რამე კარგით არის გატანილი, ეს მისი კულტურა და შემოქმედებითი პოტენციაა. ჩვენ ასეთი დიდი შემოქმედი უკვე სამი გვყავს: პაატა ბურჭულაძე, ლექსო თორაძე და გია ეძგვერაძე. დასანანია, რომ მათი შემოქმედება უცხოეთში მიედინება. არადა ხელოვანი ის ადამიანია, რომელსაც შემოქმედებითი მუშაობისათვის სულ მცირე ნორმალური პირობები მაინც სჭირდება. რატომ არ უნდა ცხოვრობდეს ხელოვანი კარგად (როცა ამის პირობა ექმნება ბიზნესმენს ანდა მაღაზიის მფლობელს?!.) და არ შეჰყურებდეს ხელში სხვას?!. ყველას არ შეუძლია გაუძლოს მძიმე პირობებს, როდესაც საუკეთესოს სთავაზობენ სხვაგან.



რენატო ბრუზონი

ამიტომ ჩვენ თუ ჩვენივე დროზე არ შევიცანით, არ მოვუფრთხილდით და მოვუარეთ, მაშინ მას უთუოდ შეამჩნევენ სხვაგან, უთუოდ გადაიბირებენ და მოგვტაცებენ მას.

ზუსტად რომ მადლიერი უნდა იყოს ქართველი ხალხი ამ ხელოვანთა, რადგან ისინი საზღვარგარეთ, როგორც ქართველი შემოქმედნი ქართული კულტურის ფართო მასშტაბით რეპრეზენტაციას ახდენენ.

დღეს რომ თბილისი ასეთ ფესტივალს და ამდენ ვარსკვლავს მასპინძლობს, პაატა ბურჭულაძის დამსახურებაა.

ჩვენ (მე და გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას) ისღა დაგვრჩენია, რომ პაატა



ქრისტიან იოჰანსონი

ბურჭულაძეს და მასთან ერთად ქალბატონ მაია დათუნაშვილს, რომლებმაც დიდი ჯაფა ჩადეს ამ დღესასწაულის მოწყობაში და ყველანაირი საშუალება მოგვცეს, მოგვესმინა ვარსკვლავთა კონცერტები მათი ცოცხალი შესრულებით, მადლობა მოვუხადოთ და ყოველგვარი ამბიციების გარეშე სიკეთე ვუსურვოთ.

ნათია ბახტაძე
*ხელოვნებათმცოდნე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

რეტრო

# სათავე

XIX საუკუნის ოთხმოცოთხმოცდაათიანი წლებიდან


სანდრო კანდელაკი

გურულმა მოჯირითე-ცხენოსნებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში საჩვენებელი გამოსვლებით სათავე დაუდეს ქართველი სპორტსმე-


შაშო ვერელი (ალექსანდრე კახნიაშვილი)

ნების პირველ საზღვარგარეთულ გამოსვლებს ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ „გასტროლებს". გუნდურ გასვლებს ვამბობთ, თორემ მანამდე ჩვენი ლეგენდარული ფალავნები: კულა გლდანელი, ნესტორ


კოსტა მაისურაძე

ესებუა, თედო ლილოელი (ავალიშვილი), ხშირად დიდი წარმატებით გამოდიოდნენ: სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში, საფრანგეთში...

რაც შეეხება ჩვენი მოჭიდავეების პირველ ჯგუფურ ანუ ნაკრების პირველ საზღვარგარეთულ ტურნეს ეს 1915-1916 წლებში მოწყობილა.

ცნობილია, რომ ქართველ ფალავნებს ტრიუმფით მოუვლიათ სპარსეთი (ირანი), ოსმალეთი (თურქეთი) და საფრანგეთი.

ამ გუნდს ხელმძღვანელობდა ანუ მწვრთნელობდა შესანიშნავი ფალავანი და მეცენატი გორელი (სოფელ შერთულიდან) ლუკა დადიანიძე, რომელიც სხვათა შორის „საქართველოს გოლიათის" სანდრო კანდელაკის აღმომჩენი და მწვრთნელი იყო.

ვინ იყვნენ იმ პირველ ნაკრებში? აი ისინიც: რაჭველი


მარცხნიდან: დავით ბეჟიტაშვილი (რუსიშვილი) და იოსებ ცერაძე

(ცხმორელი) გოლიათი კოსტა მაისურაძე, ცხინვალელი იოსებ


გიგო დოთიაშვილი

ცერაძე, ქუთაისელი დევგმირი, შემდგომში ამერიკაში გადახვეწილი კოლია ქვარიანი, თბილისელი შაშო ვერელი (ალექსანდრე კახნიაშვილი), მამკოდელი (გლდანთან ახლოსაა) ვანო მიდელაური (სპარსეთში მოკ-


ლუკა დადიანიძე

ლეს 1920 წელს), „ნიჩბისელი ლეგენდა" სანდრო კანდელაკი, კირბალელი (გორი) გიგო დოთიაშვილი და საბუელი (ყვარელი) დავით ბეჟიტაშვილი (რუსიშვილი). მართლაც დიდებული ნაკრებია! ფალავნები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან.

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ჩვენს მიერ წარმოდგენილი იმ რვა ქართველი ფალავნის ფოტო, რომლებიც შეიძლება საქართველოს პირველ ნაკრებ გუნდად ჩაითვალოს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. დიახ, მაშინ მსოფლიოში ფრანგული ანუ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა იყო გავრცელებული და საერთაშორისო სარბიელზეც „ფრანგულად" ჭიდაობდნენ ქართული ჭიდაობის დიდოსტატები, ერთ დროს


ვანო მიდელაური

კლასიკურად რომ იწოდებოდა.


კოლია ქვარიანი

**გაბრიელ ბარჯაძე**

# პირველი ლედი და პოლიტიკა

„იორდანიის ლეგენდარული დედოფალი" — ასე მოიხსენიებს მსოფლიოს პრესა პოპულარულსა და მშვენიერ ქალბატონს — იორდანიის დედოფალს — ნურს, რომელსაც ახლახან 45 წელი შეუსრულდა.

ბრწყინვალე გარეგნობის დედოფალი დღეს ბევრად უფრო ლამაზად და მომხიბვლელად გამოიყურება, ვიდრე 18 წლის წინ, როცა ცოლად გაჰყვა მეფე ხუსეინს. მან მრავალი განსაცდელი გადაიტანა და ბევრჯერ დაუმტკიცა მეფეს და იორდანელ ხალხსაც თავისი ერთგულება და სიყვარული.

დედოფალი ნური ორი ცივილიზაციის წარმომადგენელია — აღმოსავლეთის და დასავლეთის. „მე ამერიკული განათლება მაქვს მიღებული, ხოლო იორდანიაში ჩემი დედოფლობა მავალდებულებს ვიყო დამაკავშირებელი ხიდი ამ ორ დიდსა და განსხვავებულ სამყაროს შორის".

დედოფალ ნურის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი უყოყმანო მხარდაჭერა იორდანიის სამეფოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისადმი. მან სახელი მოიხვეჭა, როგორც მშვიდობის სიმბოლომ, როგორც აღმოსავლური სამეფო გვირგვინის ერთ-ერთმა ბრწყინვალე ემბლემამ... არაბული ქვეყნების მოღვაწეთა შორის პირველმა გამოიჩინა მამაცობა და გამბედაობა — ატაროს ისრაელის საპატიო მოქალაქის წოდება.

იშვიათი გულწრფელობითა და მძიმე ადამიანური განცდებით შეხვდა იგი ისრაელის მთავრობის მეთაურის — იცხაკ რაბინის მკვლელობის ამბავს. დედოფალი ნური მეფე ხუსეინთან ერთად ეწვია ისრაელს და მათ მეფური მშვენებით მიაგეს უკანასკნელი პატივი მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანის ხსოვნას. ქ-ნ ლია რაბინს კი გულაჩუყებული და თვალცრემლიანი გადაეხვია და ისე გამოხატა მისდამი თანაგრძნობა...

უცნაური და მოულოდნელი იყო დედოფალ ნურის ცხოვრების გზა ვირჯინიის შტატის მშვენიერი ბალებიდან იორდანიის სამეფო სასახლე „ალნახვადამდე".

დედოფალ ნურის ბაბუამ (მამის მხრიდან) ამ საუკუნის დასაწყისში დატოვა სირია და ამერიკას მიაშურა ბედის საძებრად. იქ ხელი მიჰყო ნავთობითა და ბამბით ვაჭრობას და რამდენიმე წელში გადაიქცა ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად. მისი უფროსი ვაჟი (დედოფლის მამა) — ნაჟეებ ხალაბი — ჯერ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი იყო, შემდეგ — პრეზიდენტ ჯონ კენედის მრჩეველი და ბოლო ხანებში — კომპანია „პან ამერიკანის" პრეზიდენტი. მან ცოლად შეირთო შვედი ქალი — ელისონი... ასე რომ, დედოფალ ნურის ღია ფერის თმა და ცისფერი თვალები — შვედი დედის

# იორდანიის დედოფალი ნური



უტყუარი გენების შედეგია...

ვიდრე იორდანიის დედოფალი გახდებოდა, მას ელიზავეტი ერქვა. განათლება მიიღო ვაშინგტონის საუკეთესო კოლეჯებში; დაამთავრა არქიტექტურული ფაკულტეტი. ბუნებამ იგი დააჯილდოვა არა მარტო კლასიკური და დახვეწილი სილამაზით, არამედ სულგრძელობით, კეთილშობილებითა და დიდი ადამიანური გულით. ამიტომაც იყო, რომ სულ ახალგაზრდა გოგონა ვერ დარჩა გულგრილი ვიეტნამის ომის მიმართ და დაუყოვნებლივ გაემართა იქ გარემოებათა შესწავლის მიზნით. მის ერთ-ერთ ღირსებად ითვლება ის, რომ უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას არა მარტო იორდანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში და თუ ეს პრობლემა ქალის საკითხს ეხება — მითუმეტეს.

ელიზავეტმა თავისი კარიერა როგორც არქიტექტორმა დაიწყო ავსტრალიაში. შემდგომში მას მოუწია თეირანის ცენტრის განაშენიანების პროექტზე მუშაობამ (შაჰის მეფობის პერიოდში). ერთ-ერთი სამუშაო მისიის შესასრულებლად იგი გაგზავნილ იქნა ამანში, სადაც მეფე ხუსეინი საზაფხულო სკოლის აშენებას აპირებდა. „მე ვიგრძენი, რომ ძალზე ნაცნობ და მშობლიურ სამყაროში მოვხვდი" — იგონებს დედოფალი ნური — მე აქ დამეუფლა სრული სულიერი სიმშვიდე".

ამანში ჩასვლის შემდეგ ელიზავეტის ბედი და იღბალი შეიცვალა აღმოსავლური ზღაპრების მიხედვით: იორდანიის ავიაკომპანიის პირველი თვითმფრინავის დაფრენის საზეიმო ცერემონიალზე ელიზავეტი წარუდგინეს მეფე ჰუსეინს, რომელიც მაშინვე განსაკუთრებული თბილი გრძნობებით განეწყო მშვენიერი ცისფერთვალება ასულის მიმართ. ექვსი კვირის განმავლობაში ცდილობდა რომანტიულად განწყობილი მეფე ხუსეინი მშვენიერი ქერათმიანი ამერიკელი ქალიშვილის გულის დამორჩილებას. და აი, ერთ-ერთი სადილის დროს სასახლეში მეფე ხუსეინი ჯენტლმენურად სთხოვს ხელს ელიზავეტს — სთავაზობს მას იორდანიის დედოფლობას.

ამ პერიოდში მეფე ხუსეინი ახალი განშორებული იყო დედოფალ ალიასთან და მისი გული და გონება მძიმე კაეშანს შეეპყრო. იგი მოსვენებას ვერ პოულობდა. ვერც წარმოედგინა, თუ მის პირად ცხოვრებაში სიხარულის ნაპერწკალი კიდევ შეანათებდა.

აღელვებულმა ელიზავეტმა პასუხის დაბრუნება ვერ მოახერხა მეფის შეთავაზებულ წინადადებაზე — ერთობ მოულოდნელი იყო მისთვის. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, 1978 წლის 15 ივნისს შედგა გრანდიოზული ქორწინების ცერემონია იორდანიის მეფის სასახლეში და ყოფილი ელიზავეტ ხალაბი გადაიქცა — დედოფალ „ნურ ელ-ხუსეინად" (ხუსეინის სინათლე).

მისმა მამამ მაშინ თქვა: „ჩემი ქალიშვილი ერთ დღეში გადაიქცა იორდანიის დედოფლად, მიიღო მუსულმანობა და აგრეთვე მეფე ხუსეინის რვა შვილის (წინა სამი ქორწინებიდან) დედინაცვლის სახელი... ეს გარდაქმნა არ იყო ადვილი, მაგრამ მან სულგრძელად გაუძლო ამ ძნელ გამოცდას..."

„მე ვიყავი მხოლოდ 27 წლის, ძალზე გულუბრყვილო და თამამი ქალიშვილი. სასახლეში მომიხდა ჯოჯოხეთის გავლა, სამაგიეროდ სულიერად გავძლიერდი და ბევრი რამ ვისწავლე — ამბობს დღეს დედოფალი ნური — ბოროტი ენები მკიცხავდნენ იმისათვის, რომ მოდური ტანსაცმლის საყიდლად პარიზის ცნობილი მოდების სახლებში მივემგზავრებოდი..."

მაგრამ ახალგაზრდა და მშვენიერმა დედოფალმა ევროპული სტილის დახვეწილი ჩაცმულობა კარგად შეუხამა თავისი ქვეყნისა და ხალხის სტილს და გაიმარჯვა კიდეც. მალე დაინტერესდა მუსულმანი ქალების დაბეჩავებული ბედითა და უუფლებობით. ხშირად დაიარება თავისი ჯიპით იორდანიის ყველაზე შორეულ კუთხეებში, ესაუბრება სოფლების მკვიდრ ქალებს, ბედუინებს, ცდილობს მათი ცხოვრების პრიმიტიული პირობების გაუმჯობესებას.

დედოფალი ნური იორდანიის კულტურულ ცხოვრებაში სასწაულებს ახდენს. იგი ორგანიზებას უკეთებს ჯერასის საერთაშორისო ფესტივალს. არასდროს არ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ ითვლება მეფე ხუსეინის საუკეთესო ელჩად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში — ეს იქნება ვაშინგტონი, პარიზი თუ ლონდონი. იორდანიის დედოფლისთვის ამ ქალაქებში აშენებულია სპეციალური სასახლეები და იგი მთელი თავისი სულიერი ძალებით, გარეგნული ბრწყინვალებით ახერხებს თავისი ქვეყნისთვის ბევრად იმაზე მეტს, ვიდრე ხალხმრავალი დელეგაცია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საქმეში.

„დედოფალი ნურის სილამაზემ და კეთილმოსილებამ გამხადეს მე უბედნიერეს ადამიანად დედამიწის ზურგზე. მე მასში ვიპოვე არა მარტო მოსიყვარულე მეუღლე და ჩემი შვილების ბრწყინვალე დედა, არამედ საინტერესო თანამოსაუბრე და გულითადი მრჩეველიც. მძიმე და გადამღლელი სამუშაო დღის შემდეგ მასთან და შვილებთან გატარებული დრო — ეს არის ყველაზე საუკეთესო დროსტარება და დასვენება ჩემთვის" — მღელვარებით აღნიშნავს მეფე ხუსეინი. და მას ნამდვილად აქვს ამისი თქმის უფლება. მამაცსა და ჯენტლმენ მეფეს დედოფალმა ნურმა შესძინა კიდევ 4 შვილი — ორი ვაჟი და ორი ქალი. მათ დღეს 12 შვილი ჰყავთ. ოთხი უმცროსი ბავშვი მეფე ხუსეინისა და დედოფალ ნურის დიდი სიყვარულის შედეგს წარმოადგენს — ასე სწამს იორდანელ ხალხს.

ამანში, „ალ-ნადვახის" სასახლის ერთ-ერთ პატარა სალონში საღამოობით დედოფალი ნური გვერდით უზის შვილებს და ინგლისურ ენაზე უკითხავს პოპულარულ ზღაპრებსა და მოთხრობებს. შემდგომ კი მეფე ხუსეინი თავისი ბრწყინვალე არაბული ენით უყვება მათ „ათას ერთი ღამის" ზღაპრებსა და თქმულებებს.

„სიტყვა „ნური" არაბულად სინათლეს ნიშნავს. ეს სახელი ყველაზე დიდი საჩუქარია, რომელიც მეფისგან მივიღე. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩემი ნამდვილად სჯერა" — დაბეჯითებით ამბობს იორდანიის სახელოვანი დედოფალი — ნური.

**ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალი „დროშა"**

# „სტუდენტობის ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებამ, პატრიოტულმა სულისკვეთებამ ააგოგეას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში მიაღწია“

მეოთხე გვერდიდან

...უხდის მადლობას საქართველოს პრეზიდენტი იმათ, ვისაც სტალინი ან ჰიტლერი აუცილებლად დახვრეტდა, ქლინტონი და კოლი კი პასუხისგებაში მისცემდა? იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვს, იმიტომ, რომ ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ერთ მეათედს ეყრდნობა, ერთი მეათედის სჯერა, მედროვეების, ყურმოჭრილი მონების ჭკუის, მარიფათის, ენერგიისა და ერთგულების იმედი აქვს.

თავის დროზე მონტენმა სამყაროს უდიდეს ადამიანებად იულიუს კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი მიიჩნია. მონტენის აზრით, მათ არაჩვეულებრივი თვისებები ჰქონდათ. ორივე სამართლიანი, გულუხვი, თავდაჭერილი იყო, ორივეს უყვარდა მოყვასი, ორივე ინდობდა დამარცხებულს, ორივე ასრულებდა დანაპირებს. ბევრ რამეში ისინი ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, ზოგში კი კეისარი აშკარად ჯობნიდა მაკედონელს და თუკი კეისრის საქმე-ნააზრევში მეტი პიროვნული ნიჭი გამოსჭვიოდა, იღბლიანობა, ბედიანობა მაკედონელის ცხოვრების გზას მეტად აჩნდა. იღბლიანობის გამო მონტენმა ალექსანდრე მაკედონელი იულიუს კეისარზე მაღლა დააყენა.

არ მეგულება მე დღეს საქართველოში ედუარდ შევარდნაძეზე იღბლიანი კაცი. არ აკლია მას არც ნებისყოფა, სიმამაცე და გამჭრიახობა. ასე რომ არ იყოს, სტალინის შემდეგ კრემლში ფეხს ვერ შეაბიჯებდა, ვერც ვაჟკაცურად დატოვებდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს, ვერც „პატრიოტ“ განაბებს ჩასვამდა გალიაში და ვერც ზვიად გამსახურდიას დამსახურებას დაინახავდა ერის წინაშე 1998 წლის 31 მარტს.

შეუძლებელია სამართლიანობის ჩვეულებრივი წესებით სვლა, როცა პრეზიდენტის მძიმე ტვირთს ატარებ. შევარდნაძის ფენომენის შეფასებისას ყველაფერი უნდა მივიღოთ მხედველობაში, განსაკუთრებით კი ის, რასაც თავის თავის გარდა არავის უმხელს. ამიტომ, როცა დღეს ვეუბნებით მას, რომ — „საქართველო არის ისეთი, როგორ მაგალითსაც შევარდნაძეები აძლევენ“, პრეზიდენტს შეუძლია გვიპასუხოს — მე ზუსტად ისეთი ვარ, როგორ მაგალითსაც თქვენ მაძლევთ.

**— როგორც მწერალს, თქვენს შემოქმედებაში რა მოგწონთ და რა არა, რა შეგიქმნიათ ისეთი, დღევანდელ საქართველოს რომ წაადგება?**

— მწერლობას, ლიტერატურულ კრიტიკას გვიან მოვეკიდე, მას შემდეგ, რაც მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილებაში — ეს ის განყოფილებაა, სადაც ნაცმენს ფეხი არ დაუდგამს, ვინაიდან ოდითგან რუსულ-ებრაული ორთაბრძოლის პრივილეგირებულ ლელოდაა შერაცხული — სადოქტორო დისერტაცია დავასრულე მხატვრული აზროვნების შემოქმედებითი განვითარების თემაზე (რუსთაველიდან ვაჟა ფშაველამდე). საკმაოდ ბევრი წერილი გამოვაქვეყნე თანამედროვე ქართველ პოეტებსა და პროზაიკოსებზე. ესსეისტურ სტილში დაწერილი სტატიები ჩემს ახლადდასტამბულ წიგნშია თავმოყრილი, რომელიც „კრიტიკის ფილოსოფიის“ სათაურით წარსდგება მკითხველის წინაშე. ჩემს კრიტიკულ შემოქმედებაში მომწონს ის, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობას, ქართული იქნება ის თუ ინგლისურენოვანი, ძირითადად მხატვრულობის, ფორმის, ენის გამომსახველობითი პოტენციალის თვალსაზრისით ვიხილავ. არ მომწონს მისი აღფრთოვანებული, დითირამბული მელოდია, მე ხომ ყველგან და ყველაფერში შესანიშნავის დანახვა მინდა და თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ ნაკლს. რაც შეეხება იმას, თუ რა შემიქმნია ისეთი, დღევანდელ საქართველოს რომ წაადგება, „კრიტიკის ფილოსოფია“ ნამდვილად წაადგება საქართველოს დღევანდელსა და მომავალ ლიტერატურულ ელიტას.

მოღალატეთა, ნარკომანთა, ქართველი ერის სიმტკიცისა და ერთსულოვნების დამაქცევართა მიერ ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ ლიტერატურული კრიტიკის სარბიელზე მოღვაწეობა წლების მანძილზე უზნეობად მივიჩნიე. ესთეტიკური საბჯენიდან ეთიკურ საბჯენზე დადგომა, მშობელი ერის ყოფნა-არყოფნაზე, ბედისწერაზე, ფსიქოლოგიასა თუ შესაძლებლობებზე ჩაფიქრება, ხმის ამოღება შინაგან მოთხოვნილებად, კატეგორიულ იმპერატივად მექცა. გამოვაქვეყნე მძაფრი, დაუნდობელი პუბლიცისტური წერილებისა და ესსეების სერია. ეს წერილები და ესსეები შესულია წიგნში „დღევანდელი დღის აპოკალიფსი“. მკითხველი იტყვის, წაადგება თუ არა იგი დღევანდელ საქართველოს.

**— ხუთი წლის შემდეგ რა მოელის საქართველოს. ქვეყნის გადასარჩენად როგორ უნდა მოიქცეს თითოეული ქართველი და ყველა ერთად? რისი გაკეთება გწადიათ პირადად?**

— რა მოუვიდა საქართველოს პოსტ-ჯაბასეული მთავრობის ხუთწლიანი ჯახირის შემდეგ? ზუსტად იგივე მოუვა, თუ არაფერი შეიცვალა — ხელშეუხებელთა კლანი კიდევ უფრო გამდიდრდება, ხალხი კი, კიდევ უფრო გალატაკდება, კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობა მიუსაფრობის ლიამწოვში. სესხები, ნავთსადენები, ახალი საბადოები, კოკა-



კოლები, მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე, საგარეო პოლიტიკა, სერთოდ, ზღვის ქაფია იმ ხილრმისეულ ძალასთან შედარებით, ეროვნული შეგნება და ეროვნული ენერგია რომ ჰქვია. მთავრობა თავს ვერ ართმევს ძირითადს: ვერ ასაქმებს ქართველ კაცს, ვერ იყენებს მის კუნთურსა თუ ინტელექტუალურ ენერგიას, რაც მთავარი და გადამწყვეტია, ვერ კრავს, ვერ ადუღაბებს მის დაქსაქსულ, ფუნქციამოშლილ ორგანიზმს.

იმისათვის, რომ ქვეყანა გადარჩეს, თითოეულმა ქართველმა, ელიავას ბაზრობასთან სამუშაოს მოლოდინში გულგადალეული „შაბაშნიკით“ დაწყებული, სახელმწიფო მინისტრით დამთავრებული, საკუთარი პრეტენზიები მაქსიმალურად უნდა შეუფარდოს საკუთარ შესაძლებლობებს: არაფერია კარგი მანამ, სანამ თავის ადგილს არ იპოვის, თავის ადგილზე ყველაფერი მშვენიერია.

თქვენ მეკითხებით, რისი გაკეთება მწადია პირადად. მწადია ის, რაც ყოველთვის მეწადა: თვითდამკვიდრება, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალური განხორციელება: მოღვაწეობა ლიტერატურულ სარბიელზე და ინგლისური ენისა და კულტურის სწავლება დამოუკიდებელი სტილითა და პათოსით.

თავისუფლების მორგება ბევრს არ შეუძლია — თავისუფლება ძლიერთა ხვედრია. შენი თავის დაცვა უნდა შეგეძლოს — აი, თავისუფლების საუცხოო დამამტკიცებელი საბუთი. ნაბიჯი უკან ტირანიიდან — ორი ნაბიჯი მონობისაკენ, იქ, სადაც სიბრალულია, თავისუფლება არ არის. მონანიება, წუწუნი სუსტიდან მოდის. თითქმის ყველაფერი, რასაც უმაღლეს კულტურას ვუწოდებთ, სისასტიკის, სიმკაცრის გასულიერებას უმადლის. ცხოვრება გაუთავებელი, ხანგრძლივი ომია, ვისაც ეს არ ესმის, ზედმეტია მასთან საუბარი.

ჭოჭმანი, შიში, ეჭვი, მოუსვენრობა უმეცრების, უცნობობის თანამგზავრებია, ნებისმიერი პასუხი, ნებისმიერი ახსნა-განმარტება სჯობს პასუხის უქონლობას. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი, რაც ნამდვილად ფუნდამენტურია ჩვენში — და, შესაბამისად ამისა, უტყუარი — გაუცნობიერებლად მოქმედებს; ისე, როგორც ბუნების ძალა. როცა ჩვენ იმპულსურად მივილტვით თვითმიზნისაკენ, ყველას, ვისაც კი გზაზე ვხვდებით — მეზობელს, მეგობარსა თუ ნათესავს — ისე ვუყურებთ, როგორც საშუალებას, ან როგორც შეფერხებასა და დაბრკოლებას, ან კიდევ, როგორც დროებითს ნავსაყუდელსა და განსვენებას. ქართველი კაცის ზემიზანი, ზეამოცანა დღეს ქართველობის გადარჩენაა. რაზეც არ უნდა ფიქრობდეს იგი, რაც რაც არ უნდა ეზმანებოდეს, ვისაც არ უნდა ებრძოდეს, მატლსა თუ გოლიათს, ქვეცნობიერად ყველგან და ყოველთვის სამშობლოს ემსახურება; ესაა მისი ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული.

დღეს ჩვენში ბევრი დაორსულდა უკულმართობით, ბევრს ჩაესახა სიმრუდე, და ბევრმა შობა სიცრუე. ამიტომ ვთხოვთ უფალს, მოგვხედოს, მოჰფინოს სინათლე ჩვენს თვალებს, რომ არ დავიძინოთ სასიკვდილოდ. თორემ იტყვის ჩვენი მოძულე: „დავძლიე ისინი“, გაიხარებენ ჩვენი მტრები ჩვენზე და გვექნება ქართველებს საქართველოში ტირილი და კბილთა ღრჭენა.

ესაუბრა
**ლელა ბაჩლელი**

# ახალი ამბები

## კრემლში აჩრდილი დადის

„კრემლის დერეფნებში საშიში აჩრდილი დადის“-წერენ გერმანული გაზეთები. როგორც ისინი აღნიშნავენ, მოსკოვის პოლიტიკური ელიტა შიშით შესცქერის ციმბირს, სადაც ექს-გენერალი ლებედი იმ მხარის გუბერნატორად გახდომას ცდილობს, რომელიც 10-ჯერ აღემატება ტერიტორიით დიდ ბრიტანეთს.

გერმანიაში ასევე მიაჩნიათ, რომ ლებედი ციმბირზე არ შეჩერდება და რეგიონალური რესურსებით მდიდარი გიგანტების მხარდაჭერით იგი მარშით წაიყვანს უკმაყოფილოებს მოსკოვისკენ, რათა 2000 წელს კრემლი აიღოს. არჩევნების მეორე ტურში რომც დამარცხდეს, ქარიზმატიული ლებედი მაინც საშიშია ელცინის ხელდასმული მხარის გუბერნატორისათვის.

## ქართველი მესაზღვრეები საზღვაო საზღვარს 1 ივლისიდან ჩაიბარებენ

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის თქმით, თუ მოხდება მისი უწყების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, დაფინანსება და შესრულდება საერთაშორისო ვალდებულებები, ქართველი მესაზღვრეები 1 ივლისიდან საზღვაო აკვატორიის გაკონტროლებას შეძლებენ.

## აღკვეთეს გაქცევის მცდელობა?

28 აპრილს, 03.30 სთ-ზე მცხეთის რაიონის ქსნის №8 საპატიმრო დაწესებულებაში შემოვლის დროს დაწესებულების თანამშრომლებმა №7 და №8 საგუშაგოებს შორის შიდა აკრძალულ ზოლში დააკავეს მსჯავრდებული პაატა დოლაბერიძე, გასამართლებული სისხლის სამართლის კოდექსის №238 მუხლის მეორე ნაწილით. მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გამოძიებას აწარმოებს დასახელებული დეპარტამენტის ოპერატიული სამსახური.

## დავითაია გაკვირვებას გამოთქვამს

„საინტერესოა რაზე შეიძლება ელაპარაკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ასლან აბაშიძეს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებთან, რომლებსაც გუშინ შეხვდა ბათუმში“ - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ავთო დავითაიამ აჭარაში პრემიერ-მინისტრ სერგეი ბაღაფშის მეთაურობით აფხაზეთის დელეგაციის ვიზიტის კომენტირებისას.

დავითაიამ გაკვირვება გამოთქვა, როგორ შეიძლება ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება იმ პერიოდში, როცა ათასობით დევნილი აფხაზეთის ტერიტორიის მიღმა იმყოფება და როცა ქართული მოსახლეობის გენოციდი გრძელდება. „რომელ ეკონომიკურ კავშირებზე შეიძლება ლაპარაკი აფხაზეთთან, როცა იქ მხოლოდ თამბაქოს ფაბრიკა მუშაობს და ისიც არა მთელი დატვირთვით?“ - იკითხა დავითაიამ.

აფხაზეთის დელეგაციის ვიზიტის თაობაზე დავითაიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა ასლან აბაშიძეს მესამე ძალა ინფორმაციის გადამცემის რანგში იყენებს, რადგან აფხაზური დელეგაციის ვიზიტი აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის შემდეგ გაიმართა.

დავითაიამ განაცხადა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო, ისევე, როგორც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ლეგიტიმური არ არის, რადგან 1991-92 წლების სისხლიანი მოვლენების შემდეგ აჭარაში ჩატარდა არჩევნები.

„ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება საქართველოში არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭო, რადგან ისინი მაშინ იყვნენ არჩეულნი, როცა საქართველოში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო“ - აცხადებს ავთო დავითაია.

გეა

# მსოფლიოს ბარომეტრი

## რუსეთის აქციების თავგადასავალი

მხოლოდ იანვარში მოსკოვის ბირჟაზე აქციების ფასმა 28%-ით დაიწია, ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით, სულ 51%-ით. არ გამართლდა იმედი, რომ მოსკოვი, ეს ახა-




ლი ბაზარი, 1998 წელს „ამომავალ საწაულად“ იქცეოდა. დაცემა გამოიწვია უცხო „ინვესტორთა“ დაჩქარებულმა გაქცევამ რუსეთიდან, რაც თავის მხრივ, განაპირობა რუსეთის მთავარი საექსპორტო საქონლის — ნავთის, აგრეთვე ზოგი სხვა საექსპორტო საქონლის ფასების მკვეთრმა დაცემამ.

## როდის დადგება ჩინეთი სუპერძალად?

ჩინეთი, რომელიც დღეს ენერგიით ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მომარაგებულია ქვეყანაა, გამალებით ცდილობს ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას. დღეს თუ მას საჭირო ელექტროენერგიის 15-20 პროცენტი აკლია, მალე ეს მაჩვენებელი გაიზრდება, რადგან ჩინეთი თავისი ეკონომიკის ზრდას ძალიან მაღალი ტემპით — წელიწადში 8 პროცენტით გეგმავს, 1996 წელს ჩინეთში ენერგიის გენერაცია უდრიდა 236 ათას მეგავატს, 2010 წელს მას 500 ათასი დასჭირდება. ქვეყნის ნახშირისა და ჰიდრორესურსების სიშორის გამო იგი იძულებულია ბირთვული ენერგეტიკა განავითაროს. 1978 წელს ჩინეთმა პირველად მოაწერა ხელი საფრანგეთისაგან 4,5 მილიარდ დოლარად ორი რეაქტორის შეძენას, რომლებიც ახლა 1,8 მილიონ მეგავატს იძლევა. ჩინეთში დაპროექტებული და 70%-ად ჩინური კომპონენტებით აგებული რეაქტორი შანხაის მახლობლად 300 მეგავატს გამოიმუშავებს, ორი ჩინურივე რაქტორი, რომლებიც ახლა შენდება, თითო 600 მეგავატის სიმძლავრისა იქნება. 2020 წელს ბირთვული საწვავით გამომუშავებული ელეტრონერეგიის რაოდენობა მიაღწევს 50 მილიონ კილოვატს — იმის ნახევარს, რასაც იძლევა აშშ-ს აეს-ები, ხოლო 2050 წლისათვის ჩინეთი ბირთვული ელექტროენერგიის ყველაზე დიდი მწარმოებელი იქნება მსოფლიოში.

## კუბა — შეერთებული შტატები

რომის პაპის ამასწინდელ ვიზიტს კუბაში ამ რამდენიმე თვის წინ მოჰყვა არა მხოლოდ ერთი-




ორი დემოკრატიული შეპირება კუბის ხელისუფლების მხრიდან, რომელიც მალე დავიწყებას მიეცა, არამედ შეერთებული შტატების პოზიციის შერბილებაც. თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაკკერიმ განუცხადა პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს, რომ პრეზიდენტი იწყებს ახალ პოლიტიკას კუბის მიმართ, რომელიც დაემყარება „კუბაზე მისი უწმინდესობის პაპის ვიზიტის გავლენას“, რათა „ხელი შეუწყოს კუბაში ეკლესიისა და სამოქალაქო-საზოგადოების სხვა ელემენტების როლის გაზრდას“ და ამით „დაეხმაროს კუბელ ხალხს დემოკრატიაზე გადასვლისათვის მომზადებაში“. გადაწყდა, ნება დაერთოს ჰუმანიტარულ ჩარტერულ ავიარეისებს კუბაზე, დაწესდეს ლიცენზირების ახალი სისტემა შეერთებულ შტატებში მაცხოვრებელი კუბელი ოჯახებისათვის, რომლებსაც სურთ თავისი ნათესავების დახმარება და გაადვილდეს ნებართვის გაცემა სამედიცინო საქონლის გაყიდვისათვის კუბაში. ამასთან ერთად, კლინტონმა დაავალა სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს „კონგრესთან და ხალხთან იმუშაოს“, რათა მათ ახლებური აზრი შეექმნათ „კასტროს რეჟიმით გატანჯული კუბელი ხალხისათვის“ საკვები პროდუქტების მიწოდების საკითხზე.

## ექიმი კევორკიანის მეასე „პაციენტი“

დღეს აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე ავად „ცნობილი“ კაცია ექიმი ჯეკ კევორკიანი, „სიკვდილად“ წოდებული, რომელიც იმაზე დასპეციალდა, რომ ბოლო რვა წელიწადია განწირულ ავადმყოფებს სიცოცხლეს უსწრაფებს, როგორც თვითონ ამბობს — მათი ნებით. ახლახან მან თავისი მეასე „პაციენტი“ გაისტუმრა. ექიმის ეს პრაქტიკა დიდ იურიდიულ დისკუსიებს ბადებს და იურიდიულ წინააღმდეგობას აწყდება. ამას წინათ, მას გამოძიების მიზნით, წაართვეს აპარატურა და ფარმაკოლოგიური საშუალებები მას შემდეგ, რაც 26. II. 1998, როგორც ექიმი ამბობს, მისი დახმარებით „თავი მოიკლა“ 21 წლის მთლიანად პარალიზებულმა ახალგაზრდამ.

## ამერიკელები სერბულ-ალბანური კონფლიქტის შესახებ

პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა, რესპუბლიკელმა ბობ დოულმა, რომელიც ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველია ვეტერანთა საკითხზე, დაგმო დასავლეთის პოლიტიკა იმის გამო, რომ მან „ვერ შეაჩერა“ სერბების მიერ ალბანელების „ეთნიკური წმენდა“ კოსოვაში.

## ამერიკა და ჩრდილოეთ კორეა კვლავ კამათობენ

ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე კორეის საკითხზე (აშშ, ჩინეთი და ორივე კორეა), რომელიც მიმდინარეობს ჟენევაში,. მთავარი წინააღმ-



დეგობა აღმოჩნდა ჩრდილო კორეელთა მოთხოვნა, რომ შეერთებული შტატების 37 ათასიანი კონტინგენტი გაყვანილი იქნას სამხრეთ კორეიდან და მეორე მხარის უარი ამ მოთხოვნის მიღებაზე. ჩინეთის წარმომადგენელმა სინანული გამოთქვა მხარეთა შეურიგებელი პოზიციის გამო.



მთავრობა, რომელიც
ვერაფერს ხედავს,
არაფერი ესმის და
ბევრს ლაპარაკობს.



ხალხი, რომელიც
ყველაფერს ხედავს,
ესმის და ვერ
ლაპარაკობს.


## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.



გამოიწერეთ გაზეთი

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61. ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.
ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.



## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*
*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



Доkа пицца

Doka pizza

94-07-00

| | |
|---|---|
| სოსისით | 2-00 |
| ქათმის ხორცით | 2-50 |
| ვიჩინით | 2-50 |
| სოკოთი | 2-50 |
| ვიჩინით და სოკოთი | 3-00 |

ადგილზე მიტანა 2-00


# კროსვორდი



**თარაზულად:** [illegible] ლო-სამეურნეო [illegible] ადვილად ცხარდება, ბრაზდება; 5. მაღალ ტემპერატურათა გაზომვის მეთოდი; 10. ქალაქი ესპანეთში; 11. გემი, რომელსაც იყენებენ რეიდზე მდგომი დიდი გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის; 12. კულინარიაში, პარფიუმერიასა და მედიცინაში გამოყენებული მცენარე; 14. იყო კლეი (კასიუს), გახდა ...; 17. ქართული სამკურნალო და სუფრის მინერალური წყალი; 18. სამშენებლო ნაგებობა; 20. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხით შეპყრობილი; 21. მე (ლათინურად); 22. მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე; 23. ს. რახმანინოვის ოპერა; 26. სახარების ერთ-ერთი ავტორი (მახარებელი); 27. უნგრული ფულის ერთეული; 29. დიდი მსახიობის გასტროლების მომწყობი აგენტი; 30. მაღარო ანუ ...; 31. ვნებიანი სიყვარული.

**შვეულად:** 1. ბუჩქი მოტკბო-შავი ნაყოფით; 2. ხის ნაჭერი, ორივე მხარით ბრტყელი; 3. რთული სიტყვის ნაწილი, ყალბის, ცრუს აღმნიშვნელი; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამხატვრო მუზეუმი; 6. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი; 7. ინდოეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 8. სწორკუთხა სამკუთხედის გვერდი; 9. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. გაულექსავი თხრობითი ლიტერატურა; 13. სწრაფმავალი მზვერავი გემი ზოგ უცხოურ ფლოტში; 15, ალვირის ნაწილი; 16. მხატვრული სტილი XVI-XVIII საუკუნეების ევროპულ ხელოვნებაში; 19. ოცი კაპიკი (ძველად); 24. ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ტრიალებს; 25. სიმებიანი საკრავი; 28. შესანახად გახმობილი ხორცი; 30. რაო, რა სთქვა ფ. ენგელსმა, რა არის ადამიანის შემქმნელიო?

---

ვულოცავთ **ნადია რაზმაძეს** დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ბედნიერებას საყვარელ ოჯახის წევრებთან ერთად.

*თეა, ლამზ, ნათია, ინგა*

---

**ვულოცავთ აზა ბრეგვაძეს დაბადების დღეს. ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას გისურვებთ ოჯახის წევრებთან ერთად.**

*ინგა და ლამზ*

---

იყიდება საკუთარი კაპიტალური სახლი მეტრო „300 არაგველთან“ ბელეტაჟზე, 4 ოთახი, ყველა სათავსოთი, აბაზანა, ტუალეტი კაფელში, აქვს 2 სარდაფი, ტელეფონი. გარემონტებულია. საერთო ფართი 130 კვმ. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: წინანდლის ქ. 5ა ტელ: 74-50-97

იყიდება საკუთარი სახლი გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 41-32-84 თემური.

იყიდება 2-ოთახიანი გასარემონტებელი ბინა მანსარდით იტალიურ ეზოში ვაგზლის მოედანთან. ფასი 12000 დოლარი. ტელ: 95-95-85 (21 საათის შემდეგ ნინო)

იყიდება 8-ოთახიანი მაღალჭერიანი დუპლექსის ბინა საბურთალოზე თამარაშვილის ქუჩაზე მეტრო „გოცირიძესთან“ ახლოს. 4 ოთახი პირველ სართულზე, 4 ოთახი მეორეზე. საერთო ფართი 280 კვმ. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 140000 დოლარი. ტელ: 39-35-71

იყიდება მიწის 2 ნაკვეთი ორთაჭალაში. ერთი – 800 კვმ, მეორე – 400 კვმ, ხეხილით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-15-01 იკითხეთ მერი ან დარეკეთ 6 საათის შემდეგ და იკითხეთ მედიკო

იყიდება ვერაზე პრესტიჟული 3-სართულიანი სახლის მეორე სართული, 5 ოთახიანი ბინა (42-28-26-18-12). საერთო ფართი 207 კვმ. დახურულ ეზოში 20 კვმ. აგურის ნაგებობა და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 150000 დოლარი. ტელ: 22-54-95

იყიდება კერძო ბინა, 4-ოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით, 100 კვმ, არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: კარგარეთელის ქ. 2ა. ტელ: 95-79-46 ქეთო

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან“. ჭერის სიმაღლე 3მ 30 სმ, საერთო ფართი 100 კვმ, მიშენებულია ლოჯი 182 კვმ, ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილი. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-12 ანა

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50ცალი) არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

ვყიდი საბეჭდ მანქანებს „ორტექსი“ – ქართული შრიფტით – 80 ლარი, „ერიკა“ – რუსული შრიფტით – 100 ლარი. ელექტროკარდიოგრაფს, ფასი 200 ლარი. ტრანზისტორს „ოკეანე“ – 50 ლარი. ტრანზისტორს „ხიტაჩი“ – 80 ლარი. გლუკომეტრს – 100 ლარი. სამკურნალო ბიოკორექტორები – 80 ლარი. გრამფირფიტების ალბომს, სტალინის გამოსვლა მე-13 ყრილობაზე. ფასი 150 ლარი. ქირურგიულ ინსტრუმენტებს თავისი სტერილიზატორით. ფასი 150 ლარი. ტელ: 30-53-80

იყიდება პურის საცხობი სამხედრო ტიპის, წარმადობა 4000 პური დღე-ღამეში. სრული კომპლექტი, მზა მდგომარეობაში. ფასი 5500 ლარი. ტელ: 37-35-90 (სალამი)

ვასწავლი ბიზნესის თეორიას, მუსიკას, მსოფლიო ლიტერატურას. სპორტი არჩევით (ცურვა, ჩოგბურთი) ტელ: 37-35-90

იყიდება რადიაციის საზომი ხელსაწყო (საყოფაცხოვრებო) ფასი 50 ლარი. ტელ: 37-35-90

იყიდება მიწის ნაკვეთი ორთაჭალაში 400 მ მისამ: დიდი ხეივნის ქუჩა 33. ტელ: 72-26-35 იკითხეთ შოთა ან მაია. ფასი შეთანხმებით.

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის დასაწყისში. ავეჯით, მაცივრით, ტელეფონით. ფასი 300 დოლარი. ტელ: 37-33-09 სოსო 22-41-13

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს ვთავაზობთ საუკეთესო ხარისხის პურ-ფუნთუშეულს. განაცხადი მიიღება პეიჯერზე (900) 70-60. ადგილმდებარეობა (მისამართი) მიუთითეთ.

---

**მარინა და ნოდარ ლეკიშვილები შვილებით, ვალერი და მარინა ბანეთიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამიდის,**
**ეკატერინე ივანეს ასული ბანეთიშვილის**
**გარდაცვალებას.**
**დაკრძალვა შაბათს, 2 მაისს, დღის 2 საათზე ს. მარტყოფში.**

---

ვუთანაგრძნობთ მარინა და ნოდარ ლეკიშვილებს საყვარელი მამიდის, ეკატერინე ბანეთიშვილის გარდაცვალების გამო.

*სერგო და თეა ჯანაშიები*

---


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444